საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 აგვისტო, 2015 წელი.

№152 (7797)

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„რუსთავი-2“ - იდეოლოგიური საროსკიპო!

ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის სავიზიტო ბარათი სწორედ „თავისუფალ სიტყვაზე“ ზემოქმედება იყო

გოგა ხაინდრავა: „რუსთავი-2“-ს წლების განმავლობაში საროსკიპოდ ვთვლიდი. საროსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკმაყოფილებენ. დიახ, „რუსთავი-2“-ში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ხდება საკაშვილის სადისტური ვნებების დაკმაყოფილება. ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ საროსკიპოს იცავს, იცავს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მეძავებს...

რუსთაველები კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ „რუსთავი-2“-ს სახელი გადაერქვას და დაერქვას ის, რაც ნამდვილად არის - ნაციონალების სიცრუის საყვირი!... 3

ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე: „ეს დიდი გამარჯვებაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ირაკლის უფრო დიდი წარმატებები წინ ელის“

ირაკლი თურმანიძემ ევროპას „აჰკრა!“

ქართველი ძალოსანი ირაკლი თურმანიძე (+105კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ თურმანიძე კონტინენტის პირველობის გამარჯვებულად გუშინ აღიარა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ გამარჯვებას უკავშირდებოდა. ჟურნალისტებს მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიაშვილი და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე შეხვდნენ.

„მსურს, მთელ საქართველოს მივულოცო ჩვენი ძალოსნების წარმატება. განსაკუთრებით სასიხარულოა ირაკლი თურმანიძის ჩემპიონობა. კარგია, რომ სამართალმა იზეიმა და ჩვენმა სპორტსმენმა დამსახურებული ოქროს მედალი მიიღო. ძალოსნობას დიდი ტრადიციები აქვს და სახელმწიფო ყოველთვის მხარს დაუჭერს სპორტის ამ სახეობას“, — განაცხადა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

კახიაშვილის თქმით, თურმანიძემ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი მოიგო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ უკრაინელმა ჩემპიონმა აკრძალული ნივთიერებები გამოიყენა, რის გამოც მას ოქროს მედალი ჩამოერთვა.

„ეს დიდი გამარჯვებაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ირაკლის უფრო დიდი წარმატებები წინ ელის“, — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა.

ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის გიორგი ასანიძის თქმით, ნაკრების მომავალი ამოცანა შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლაა. მსოფლიო ჩემპიონატზე რიო დე ჟანეიროს საგაისო ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამაშდება და სწორედ მაშინ გადაწყდება, თუ რამდენი სპორტსმენით გაემგზავრება საქართველოს ძალოსანთა ნაკრები ბრაზილიაში.

11-18 აპრილს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ირაკლი თურმანიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, თუმცა, ოქროსმედალოსანი, უკრაინელი ოლეგ პროშაკი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და ჩემპიონობაც ქართველ ათლეტს მიენიჭა.

ევროპის ჩემპიონატზე თურმანიძემ და პროშაკმა 435 კილოგრამი დაძლიეს, მაგრამ მსუბუქი წონის გამო ჩემპიონობა უკრაინელს მიენიჭა. დოპინგ-კონტროლის შედეგები ორი დღის წინ გახდა ცნობილი და ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც ევროპის ჩემპიონად ირაკლი თურმანიძე გამოაცხადა.

თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატის პირველი სამეული +105კგ წონაში ოფიციალურად ასეთია:

1.ირაკლი თურმანიძე (საქართველო) — 435კგ (201+234),

2.ჩინგიზ მოგუშკოვი (რუსეთი) — 432კგ (200+232),

3.ალმირ ველაგიჩი (გერმანია) — 418კგ (193+225).

კობა კობახიძე

კობერიძე ნათიკო მოდელირებულ ქრონიკას განაგრძობს...

2

მხედართ-მთავარო თინაო... რუსეთისაკენ წინაო!

4

5

უპასუხისმგებლო მძღოლებს ჩვენი გენოფონდი ეწირება

საგზაო უსაფრთხოება - სახელმწიფოს აქილევსის ქუსლი?!

იუზა ჩაკვეტაძე

ზარებს შემოვკრათ განგაშის!...

მწუხრის კოცონს დარდი მინთებს,
დღის დათესილს ღამე იმკის,
თავს ვერ ვაღწევთ ლაბირინთებს,
მძევლები ვართ ამერიკის.

12

10 აუცილებელი წესი, რომელთა ცოდნა ომში სიკვდილისგან გიხსნით

11

◎ ალიან-ჩალიანი

პრემიერს პატრიარქმა ბორჯომში უმასპინძლა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ბორჯომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ უმასპინძლა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უწმინდესმა ნათლული, პრემიერის უმცროსი შვილი, გაბრიელი მოიკითხა და მთავრობის მეთაური დალოცა.

პრემიერი ბორჯომში ტიმოთესუბნის 800 წლისთავთან დაკავშირებით იმყოფებოდა. უწმინდესმა ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი მთავრობის წევრებთან ერთად დაესწრო.

ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთში ბიზნესფორუმზე მიიწვიეს

თურქეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კოლეგიამ (DEIK) საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი უმსხვილესი ბიზნესკომპანიების მონაწილეობით დაგეგმილ ბიზნესფორუმზე მიიწვია. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და თურქეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კოლეგიის (DEIK) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ომერ ჯიჰად ვარდანის შეხვედრაზე აღინიშნა.

ბიზნესფორუმი ახლო მომავალში სტამბოლში გაიმართება და მას თურქეთის წამყვანი ბიზნესსექტორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

მხარეებმა საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო პარტნიორულ თანამშრომლობას და მიმდინარე რეგიონული პროექტების მნიშვნელობას.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა DEIK-ის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა და არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ. DEIK-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ომერ ჯიჰად ვარდანის განცხადებით, იზრდება თურქი ბიზნესმენების ინტერესი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისადმი.

„DEIK-ი თურქეთის ბიზნესწრეების ერთ-ერთ უმსხვილეს და გავლენიან გაერთიანებას წარმოადგენს. იგი დაარსდა 1986 წელს. მისი მიზანია თურქეთის კერძო სექტორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოებისადმი ხელშეწყობა და სავაჭრო კავშირების გაღრმავება. DEIK-ს ჰყავს 99 დამფუძნებელი ორგანიზაცია. მასში ასევე შედიან ბიზნესსაბჭოები, რომლებიც 900-მდე კომპანიას აერთიანებენ“.

ჩვენი რეზერვები წლის განმავლობაში მილიარდ ლარს გადააჭარბებს

არანაირ ზეგავლენას ბიუჯეტი არ ახდენს გაცვლით კურსზე, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე განმარტებით, რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, 8 თვეა რეალურად გასული, საქართველოს ბიუჯეტს არ მოუხდენია ზეწოლა ეროვნული ბანკის პოლიტიკასა და სავალუტო კურსზე.

„საქართველოს მთავრობამ იმის გამო, რომ გაითვალისწინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, ისე, რომ მას ამის პრობლემა შემოსავლების თვალსაზრისით არ ჰქონდა, უკვე შევამცირეთ ბიუჯეტში შემოსავლების გეგმა და შევამცირეთ მიმდინარე ხარჯების გეგმა. გარდა ამისა, უნდა ვთქვა, რომ წლის განმავლობაში დავაგროვეთ დაახლოებით 400 მილიონი ლარი, რომელიც შემოვიდა გადასახადებით და სხვა შემოსულობებით. ჩვენ შევხვდით კომერციული ბანკის ხელმძღვანელებს და მათ პირობა მივეცით, რომ ნოემბერსა და დეკემბერში ასევე დავაგროვებთ დაახლოებით 300 მილიონ ლარს, ანუ მილიარდ ლარს გადააჭარბებს ჩვენი რეზერვები წლის განმავლობაში. ჩვენ ვმუშაობთ და ასე თანაბრად ბიუჯეტი არ დახარჯულა არასდროს და არანაირი ზეგავლენას ბიუჯეტი არ ახდენს გაცვლით კურსზე“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე განცხადებით, ქადაგიძემ განაცხადა, რომ საგარეო შოკი უკვე არის ანულირებული, ზეგავლენა აღარ ხდება.

„იმედი მაქვს, რომ ეროვნული ბანკი საკუთარი პოლიტიკით განახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და, მეორე მხრივ, თავს დაანებებს ბიუჯეტისკენ ხელის გამოშვერას“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

◎ ცოდვის შვილები

კობერიძე ნათიკო მოდელირებულ ქრონიკას განაგრძობს...

„ადამიანი როგორიც არის შინაგანად, ისე ფიქრობს სხვაზეც“, — საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ ეს სიტყვები ერთ-ერთი ქადაგებისას წარმოთქვა, მაგრამ, სავარაუდოდ, მას კონკრეტული ადრესატი არ ჰყოლია. უწმინდესი ერის ისტორიაში სხვა მნიშვნელოვანი ქადაგებითაც შევა, როგორც საქართველოს სულიერი მამა და მესაჭე, თუმცა, სამწუხაროა, რომ ზოგიერთისთვის ილია II-ის ღვაწლი გაუგებარია...

მათ შორის აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული ჟურნალისტი ნათია კობერიძე, რომელმაც „მოდელირებული ქრონიკით“ დაგვამახსოვრა თავი. „რატომ ეთაყვანებით ამ მოქალაქეს, რა გაგიკეთათ?“ — ასეთი კომენტარით გამოეხმაურა ჟურნალისტი იმ ვიდეოს, რომელშიც ჩანს, თუ როგორ ხვდება გზაზე მრევლი ახალდაბიდან ბორჯომში მიმავალ პატრიარქს ანთებული სანთლებითა და ყვავილებით ხელში. ვიდეოს 6 ათასზე მეტი მნახველი ჰყავს. არც ერთს პატრიარქი ამის გამო არ გაუკრიტიკებია. „ქრისტიანებო, რატომ არღვევთ მთავარ ცნებას და აკერპებთ ამ ადამიანს?“ — იკითხავს კობერიძე. ბუნებრივია, ჟურნალისტის ასეთ რეპლიკას სოციალურ ქსელში უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა, ნათია კობერიძეს ეს არც გაჰკვირვებია... „პატრიარქის კრიტიკაზე რომ ბოროტების შემოტევა გემართებათ, ეს ძველი ამბავია... ყველაფრის კრიტიკა შეიძლება, გრუზინცებო, ყველას და ყვე-ლა-ფრის!“ — **დაგვმოძღვრა ჟურნალისტმა.**

კომენტარებმაც არ დააყოვნა: „ბოროტებს და უტიფრებს ყველაფერი ადამიანური აღიზიანებთ“; „ხალხმა კარგად იცის, ვინ როგორ დახვდეს, პატრიარქს — სანთლებით, ლოცვით და ყვავილებით, აი, მაგათ კი — ცოცხებით!!!“; „განა ვერ ხვდებიან ეს ბოროტები, რომ საქართველოს 90 პროცენტი პატრიარქს კი არ ვაკერპებთ, არამედ გვიყვარს, მაგრამ ზუსტად ამის გამო ებრძვიან ასე გამწარებით“; „რატომ გვიყვარს პატრიარქი? ეს რომ გაიგო, გულით უნდა ხედავდე“; „აქამდე ფარულად ებრძოდნენ, ახლა ასე აშკარად დაიწყეს ბრძოლა და გმობა“; „ეს კობერიძის ქალბატონი რომ მართლმადიდებლობის მტერია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მე არ მძულს იგი, უბრალოდ მეცოდება“...

პატრიარქის მისამართით გამოთქმულ ნათია კობერიძის საყვედურს ეხმიანება ჟურნალისტი ირმა ინაშვილი: **„პატრიარქს რომ მრევლი სანთლებითა და ყვავილებით დახვდა, ეს არის არა უწმინდესის გაკერპების მაგალითი, არამედ სიყვარულის გამოხატულება. ჯერ იმის ნახევრის ნახევარი გააკეთონ ერისა და ქვეყნისთვის, რაც უწმინდესს აქვს გაკეთებული და მერე ატრიალონ ენა. ჩვენ, არაბუმბერაზებს, არაგრანდიოზულებს, არატვინიკოსებს ხომ გვაქვს პატრიარქის სიყვარულის უფლება? — გვაქვს! ჰოდა, თქვენ, გრანდიოზულები, რატომ იშლით ნერვებს, თუ ჩვენ ჩვენი პატრიარქი გვიყვარს?!“**

წმინდა ეფრემ ასურის მოძღვრება ასეთია: „ვისაც სძულს მღვდელი, მას მისი ღმერთიც სძულს!“ პატრიარქზე თავდასხმა ჩვენი საზოგადოებისთვის ახალი არ არის. ნაცადი ხერხია, რომელიც ვერ ამართლებს. როგორი ჩირქიც არ უნდა მოსცხონ ილია II-ის სახელს, ჩრდილი მაინც არასოდეს მიადგება. ნათია კობერიძემ ამჯერადაც სცადა, საზოგადოების „დაზაფვრა“, როგორც ერთხელ, როცა აგვისტოს ომის მოდელირება მოაწყო და ნამდვილი საშიშროების განცდა განუახლა მაყურებელს. ისიამოვნა!!! ეტყობა, მას პატრიარქის მიმართ მოწიწების გრძნობის გამოხატვაც მოდელირებული ჰგონია. ერს უნდა უყვარდეს თავისი სულიერი ლიდერი, ეთაყვანებოდეს, პატივს სცემდეს, ესმოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს მისი სიტყვის ძალა... სწორედ ამას ნიშნავს ეკლესიის მესაჭეობა, ამის გამო ენდობა პატრიარქს მრევლი... ვინც ამ დამოკიდებულებაში მხოლოდ კერპთაყვანისმცემლობას ხედავს, უღვთოა... რადგან იქ, სადაც ღმერთია, ყველგან სიყვარულია!..

შეიძლება ჟურნალისტი გმობდეს პატივისცემას და თაყვანისცემას?!

ერის უფლებაა — უყვარდეს პატრიარქი!!!

თეა მოსია

უწყებათაშორისი კომისიის სხდომა წყნეთი-ბეთანიის გზაზე

13 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობის მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისო კომისიის სხდომა წყნეთი-ბეთანიის გზაზე გაიმართა.

როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, კომისიის ფარგლებში გაცემული დავალებების შესრულება მიმდინარეობს.

„ოჯახების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და ოჯახების დაკმაყოფილება. შემდეგი პრიორიტეტი იყო დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა და ამაზეც მიმდინარეობს მუშაობა. ის გადწყვეტილება, რაც ჩვენ მივიღეთ, რომ დაზიანებული გვირაბის ადგილას გაგვეკეთებინა სახიდე გადასასვლელები, ეს პროექტი დამტკიცებულია. ამის დაფინანსება მივიღეთ ცენტრალური მთავრობისგან. გარდა ამისა, ხორციელდება გზის აღდგენის სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა როგორც დღე, ისე ღამე. მიმდინარეობს ხიმინჯების მოწყობა, სახიდე გადასასვლელების მოწყობის შესაბამისი სამუშაოები, იგება გზის საფარი, დაზიანებული და გამორეცხილი მონაკვეთის აღდგენა “, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

რუსეთმა სანქცირებული ქვეყნების სია გააფართოვა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას იმ ქვეყნების სიის გაფართოებასთან დაკავშირებით, რომელთა წინააღმდეგაც მოსკოვის მიერ დაწესებული სანქციები იმოქმედებს. ამის შესახებ რუსული მედიის ცნობით, მედვედევმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ევროკავშირის ქვეყნებს, ასევე ავსტრალიას, კანადას, ნორვეგიასა და აშშ-ს, რომელთაც გასული წლის აგვისტოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი აეკრძალათ, დავამატეთ რიგი ქვეყნები — ალბანეთი, მონტენეგრო, ისლანდია და ლიხტენშტეინი, ასევე უკრაინა გარკვეული პირობებით“, — განაცხადა რუსეთის პრემიერმა.

უკრაინის წინააღმდეგ შეზღუდვები მხოლოდ მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილს კიევი აამოქმედებს.

მედვედევმა ასევე განაცხადა, რომ უკრაინას რუსეთმა ეკონომიკური რეგულაციების საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის ვადა 2016 წლის 1 იანვრამდე მისცა.

რუსეთი სანქციებს დასავლეთის მიერ დაწესებული შეზღუდვების საპასუხოდ აწესებს.

„რუსთავი-2“ – იდეოლოგიური საროსკიპო!

დარბეული „სამშობლო“.

დანგრეული „იმედი“.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ 9-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲖᲔ“ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ

ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „რუსთავი-2“-ის ყოფილი მფლობელის სარჩელის საფუძველზე ტელეკომპანიის პარტნიორთა წილების დაყადაღებას თავისუფალ სიტყვაზე ზემოქმედების კვალიფიკაცია მიანიჭეს ნაციონალურმა მოძრაობამ და მათთან დაახლოებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა; მათი შეფასებით, არხის საქმიანობის შეფერხება საფრთხეს შეუქმნის თავისუფალ მედიაგარემოს. ნაციონალები ხელისუფლებას ურჩევენ, შევარდნაძის შეცდომები არ გაიმეორონ. მათივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავისუფალ მედიას და განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ს ებრძვის.

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე ლაპარაკობს სწორედ ის ჯგუფი, რომელსაც 2003-2012 წლებში მედიაზე ზეწოლის მეტი არაფერი უკეთებია, მივყვეთ ქრონოლოგიას.

„ვარდების რევოლუციიდან“ ზუსტად სამ თვეში ნაციონალების მთავარი სამიზნე მისი შეფასებით, ოპოზიციური მედია გახდა – პირველი მსხვერპლი ტელეკომპანია „იბერია“ აღმოჩნდა, რომელიც ასლან აბაშიძის გუნდის წევრს, „ომეგა ჯგუფის“ მფლობელ ზაზა ოქრუაშვილს ეკუთვნოდა. მაშინდელი გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით და სანქციით, ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანიაში შეიჭრა და ჟურნალისტებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „იბერიამ“ მაუწყებლობა შეაჩერა. ტელეკომპანიასთან ერთად დაიხურა ჰოლდინგში შემავალი გაზეთი „ახალი ეპოქაც“.

მოგვიანებით, „იბერიას“ ბედი გაიზიარა ტელეკომპანია „მზემ“, რომლის საკონტროლო პაკეტს ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი ფლობდა – ნაციონალებმა ჩხარტიშვილს საკანტროლო პაკეტი დაათმობინეს და ამით ტელეკომპანიაც დაიხურა.

„მზეს“ უკვე მიჰყვა ტელეკომპანია „202“. როგორც მაშინ ითქვა, ნაციონალების პროვოკაციას წამოეგნენ ტელეკომპანიის დამფუძნებლები და წამყვანი შალვა რამიშვილი, შედეგად – ქრთამის აღების მოტივით რამიშვილი ციხეში აღმოჩნდა.

შეიარაღებული სპეცრაზმი შევარდა ტელეკომპანია „იმედშიც“, ხოლო მისი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. შემდეგ უკვე, ნაციონალურმა მოძრაობამ აიძულა კომპანიის მესაკუთრეები, საკონტროლო პაკეტი ნაციონალების სასარგებლოდ დაეთმოთ.

ანალოგიური ვითარება იყო რეგიონებში, ერთმანეთის კვალდაკვალ იხურებოდა ტელეკომპანიები და ამის ნათელი მაგალითია „ბათუმის 25“-ე არხი და „თრიალეთი“. სატელევიზო არხების დახურვის შემდეგ ხელისუფლება უკვე ინტერნეტ გამოცემებს და გაზეთებს მიადგა. სააკაშვილის ამ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ინტერნეტგამოცემა presa.ge, რომლის დამფუძნებლებმაც მოგვიანებით ინტერნეტგამოცემა for.ge შექმნეს.

2007 წლის 10 აგვისტოს გამთენიისას სპეცრაზმმა ალყა შემოარტყა გამომცემლობა „სამშობლოს“ და იქ განთავსებული გაზეთები და ჟურნალები, ტელეკომპანიები ქუჩაში გამოყარა!

სწორედ ასე „იცავდა“ ყოფილი ხელისუფლება ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას. ექსპერტების შეფასებით ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის სავიზიტო ბარათი სწორედ „თავისუფალ სიტყვაზე“ ზემოქმედება გახდა.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ ეკრანი თვითონ ლაპარაკობს, ცდილობს თუ არა დღევანდელ ხელისუფლება მასზე გავლენის მოპოვებას. მისივე შეფასებით, თუ სხვა ტელევიზიებზე არა აქვს ხელისუფლებას გავლენის მოპოვების მცდელობა, გაუგებარია, რატომ უნდა ცდილობდეს „რუსთავი-2“-ზე გავლენის მოპოვებას.



როგორც საყვარელიძე აცხადებს, ოპოზიციური პარტიების და ზოგიერთი „არასამთავრობოს“ გამონათქვამები უკვე აღარ არის სანდო ფართო საზოგადოებისათვის.

„მარტო თქმა ხომ არ არის მთავარი – შენს ნათქვამს ადამიანი უნდა ენდობოდეს. ძალიან ბევრმა აუწყო ხმა იმას, რომ ხდება პოლიტიკური ზემოქმედება, მაგრამ მეორე მხრივ, მოქალაქეები მხოლოდ მათი ინტერვიუდან არ იღებენ ინფორმაციას.

სატელევიზიო არხები იმას ამბობენ, რაც თვითონ უნდათ და ეს ხომ ადასტურებს, რომ ხელისუფლებას ტელევიზიებზე გავლენა არა აქვს.

რაც შეეხება წარსულს, წინა ხელისუფლებამ მედიის ნაწილი დააშინა, ნაწილი გადაიფორმა, დარჩა მცირე ნაწილი, რომელსაც ვერაფრი ვერ მოუხერხა, ოღონდ მათი მცირე რაოდენობა საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ნაკლებად ახდენდა; იმიტომ დატოვა ისინი, რომ ეთქვა – აი, ჩვენ დემოკრატები ვართო – ეს იყო მათი პოლიტიკა.

გავიხსენოთ, როდის გადადგა სააკაშვილი თავისი ნებით? – როდესაც შევარდნენ „იმედში“. მაშინ აღიარა, რომ დაარღვია მედიის თავისუფლება. ღიმილისმომგვრელია ამ პარტიის წარმომადგენლების მხრიდან საუბარი იმაზე, რომ იზღუდება მედიის თავისუფლება“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ამბობს, რომ როდესაც თვალწინ გვაქვს ტელევიზიებში სპეცრაზმით შეჭრის ფაქტები, დახურული და დარბეული ტელევიზიები, ძალიან ცინიკურად გამოიყურება ნაციონალების განცხადება, რომ თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა ხდება.

„ის პოლიტიკური ძალა და ადამიანები, რომლებიც ამ მახინჯ სისტემას, ანუ მედიის კონტროლის მეთოდს ნერგავდნენ, დღეს გველაპარაკებიან სიტყვის თავისუფლებაზე, როგორც ფასეულობაზე – ეს ძალიან ცინიკური და მძიმედ მოსასმენია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც გვახსოვს ნაცემი და დაწიოკებული ჟურნალისტები.

ჩვენ კარგად ვიცით, რას აკეთებდნენ ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში. ძნელად წარმომიდგენია, რომ დღეს ჩვენს ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ამ იდიოტიზმში შეიძლება მონაწილეობდნენ“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.



რეჟისორი, **გოგა ხაინდრავა** აცხადებს, რომ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ სიტყვაზე საუბარი, მკრეხელობაა. „საქართველოში ამნეზია არავის არა აქვს და არ მგონია, ვინმეს სჭირდებოდეს იმის გახსენება, როგორ არბევდნენ ტელევიზიებს. ნიკა გვარამია არის ცილისმწამებელი, დემაგოგი, უზრდელი, რომლის ადგილი სხვაგან არის და არა იქ, სადაც არის.

„რუსთავი-2“-ს წლების განმავლოვაში საროსკიპოდ ვთვლიდი. საროსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურებების საფასურად აკმაყოფილებენ. დიახ, „რუსთავი-2“-ში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ხდება სააკაშვილის სადისტური ვნებების დაკმაყოფილება. ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ საროსკიპოს იცავს, იცავს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მეძავებს...

სააკაშვილის მოხმარებული დაწესებულება წამლავს მთელ ქართულ საზოგადოებას“, – აცხადებს გოგა ხაინდრავა.

თამთა ქარჩავა

◎ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

რუსთაველები კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ „რუსთავი-2“-ს სახელი გადაერქვას და დაერქვას ის, რაც ნამდვილად არის – ნაციონალების სიცრუის საყვირი!..

„რუსთავ-ძალაძი ქართველი ერისთვის მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი მონაპოვარიაო“, – ბრძანა ქართული სიტყვის დიდოსტატმა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

რუსთავი ოდითგანვე იყო ქვეყნის აღმოსავლეთის ციხე-ბურჯი, ბასტიონი, აკი შეეწირა კიდეც პირსისხლიანი აღა მაჰმად ხანის ურდოთა შემოსევას, სამაგიეროდ დედა-თბილისი და საქართველო იხსნა ბარბაროსთაგან.

1944 წელს იოსებ სტალინის ნებითა და ქართველი ხალხის ძალისხმევით დაიწყო იმჟამად უდაბნო-ნაქალაქარის აღორძინება და ისევ დადგა ფეხზე ქართული სულისა და ნების მედროშედ, ისევ იტვირთა საქართველოს აღმოსავლეთის მეციხოვნეობა.

არა მგონია ეს ნიკა გვარამიამ, გიორგი გაბუნიამ და მათთა ამქარ-თანამოლაშქრეებმა უწყოდნენ, და რომ იცოდნენ, ამით არაფერი შეიცვლება. ისინი ხომ გუგულებივით ჩასახლდნენ სხვათა ბუდეში, რომელიც ცხონებულმა ეროსი კიწმარიშვილმა „რუსთავი-2“-ად მონათლა და ახლა უკვე წლებია, რაც ერის წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფიებრიობის წინააღმდეგ იბრძვის.

დიახ, პირდაპირ ვაცხადებთ, „რუსთავი-2“ დღეს ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ ომშია ჩართული. და ჩვენ, რუსთაველებს, რომლებიც ვართ საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭის მცველი მეციხოვნენი, ამ ტელემაუწყებლობის საქმიანობა მიგვაჩნია რუსთავის სახელისა და ღირსების შეურაცხყოფად. ამდენად, დაბეჯითებით მოვითხოვთ, ტელეკომპანიის ამჟამინდელმა მესვეურებმა სასწრაფოდ შეცვალონ სახელწოდება და ლოგო.

ᲯᲣᲓᲣ ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი,
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲣᲠᲐᲓ ᲒᲝᲒᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს დამსახურებული მშენებლები,
ᲝᲗᲐᲠ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ.
რუსთავის საპატიო მოქალაქე, ჟურნალისტი,
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ, ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲜᲝ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ,
პედაგოგები
ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ 97 ᲙᲐᲪᲘ.

მხედართმთავარო თინარ... რუსეთისაკენ წინარ!

ჩვენ ბეჩავ საქართველოს ამ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ისეთი ამირსპასალარები ჰყავდა, მტრისთვის რომ ინატრებს კაცი: ზოგი მათგანი კისრისტეხით ისე გამორბოდა ბრძოლის ველიდან, რომ აღარც სამშობლო ახსოვდა და აღარც ბრძოლის ველზე მიტოვებული ცოცხალი და მკვდარი ჯარისკაცები, ზოგი მიწას ცხვირით ხნავდა და ჩირგვებში მიძვრებოდა, ზოგი მისი მოამაგე, ძია სემის ტანკში ძვრებოდა და გულმაგრად იყო, ზოგი კი, მხრებს იჩეჩავდა და თავს იმართლებდა: როგორ ვიომო, შეიარაღებაში „რაგატკების“ გარდა სხვა იარაღი არ გამაჩნია და, თანაც, ჩემი ჯარისკაცები ცუდად ერკვევიან ჩინურ ფილოსოფიაშიო.

რა მართალი უთქვამს სულმნათ შოთას: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭველსაო“. სწორედ, ასეთი ქსლის მბეჭველი დიაცი თინა თუ გაგვიამირსპასალარდებოდა, ამ დონეზე წამხდარი არ გვეგონა ჩვენი თავი.

ქსლის მბეჭველი თინა ამირსპასალარის თანამდებობაზე ჯერ ნაკურთხი არ იყო (პარლამენტის მიერ, ცხადია!), რომ პოლიტიკური აბლაბუდის ქსოვა უკვე დაიწყო, რაშიც, დიდი ალბათობით, ჩვენი მტერი და ავისმდომი კი არა, საქართველო გაებმება, სწორედ.

გული მიგრძნობს, ჩვენი დემოკრატი ლიბერასტები გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგედ ჩამთვლიან, რადგან აშკარად მეტყობა, რომ ქალის ამირსპასალარობის მომხრე არა ვარ და სამხედრო საქმე საქალებო ხელობად არ მიმაჩნია. სავარაუდოა, რომ საქართველოს დიდი ავტორიტეტიც მოიშველიონ ჩემს „გასაშველებლად“. განა გენიალური რუსთაველი ქალისა და კაცის თანასწორობას არ ქადაგებდაო, — ნიშნისმოგებით მეტყვიან. არა, ჩემო „ბატონო“ დემოკრატებო, რუსთაველი ქალს უპირატესობასაც კი ანიჭებს კაცთან შედარებით, მაგრამ ქალი და კაცი თანასწორიაო, არ უთქვამს! ლეკვი ლომისა სწორიაო, რომ ბრძანა, ლომის ლეკვებზე თქვა ეს: ძუ და ხვადი ლომის ლეკვი, ორივე ლომია და მეფური სისხლი უდგათ ძარღვებში და ამიტომ, ტახტის მემკვიდრეებად ითვლებიანო, თორემ ყველა ძაღლისა და ტურის ლეკვი, ძაღლად და ტურად რომ გაიზრდება, ამის მიხვედრას რუსთაველის გენია როდი სჭირდება.

საქართველოს ისტორიაში და სხვაგანაც, ქალიც უკურთხებიათ მეფედ, ბევრი მათგანი წარმატებულიც ყოფილა, მაგრამ ამირსპასალარი ქალი არ გაჭაჭანებულა არსად. ომი და სამხედრო სამსახური საკაცო საქმედ ითვლებოდა ყველა ეპოქასა და ყველა ხალხში და როგორც შვილის გაჩენას არ დაავალებდა ვინმე ან სადმე მამაკაცს, ისე სამხედრო საქმეს არ ანდობდნენ ქალს, ვიდრე ნახევარ მსოფლიოს ტვინი არ აემღვრა და კაცზე კაცის გათხოვების იდეა არ მოუვიდა ავადმყოფ თავში.

ისევ თინა ამირსპასალარს უნდა მივუბრუნდე, რადგან დღეს მასზეა დამოკიდებული ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს გაბრწყინების იმედი. მისი პირველი და ერთობ საიმედო ნიშანი უკვე მოგვცეს: თინა ამირსპასალარმა, წარბი რომ არ შეუხრია ისე, ბრძანა: **რუსეთი მაგ მავთულხლართებს მალე თავისივე ხელით აახვევს და მალე თვითონაც დაახვევსო**. ასე თქვა, სწორედ!

ქსლის მბეჭველი უძახე შენ და იმ ქვეყანას, რომელიც ობამას თუ დავუჯერებთ, ნახევარ მსოფლიოს ატერორებს, ევროპა კი მისი შიშით სულ მუდამ ჩაფსმულია, ვაჟკაცურად, დიპლომატიური რევერანსების გარეშე არ მიახალა, დაახვიე აქედანო! ა, ბატონო, არ ეშინია თინას და შეეკითხეთ, თუ გინდათ!

ერთს კი ვფიქრობ: იმ დიდმა ქვეყანამ, მავთულხლართებს რომ აბამს ჩვენს ცხვირწინ, რომ არ შეუშინდეს თინა ამირსპასალარს, მავთულხლართები კი არ აახვიოს და თვითონაც კი არ დაახვიოს, არამედ სულაც აქეთ რომ გადმოეხვიოს, როგორ მოიქცევა თინიკო სარდალი მაშინ?

ერთი პირობა, ასეც ვიფიქრე, ისე მოიქცა ჩვენი მტერი-მეთქი, მაგრამ ეს უჟმური აზრი მაშინვე უარვყავი. თინა ამირსპასალარი ამხელა ქვეყანას ისე არ აუხტებოდა, იმედი რომ არ ჰქონოდა. მცირე ფიქრის შემდეგ, მივაგენი კიდეც ამ იმედის თავწყაროს...

თინა სარდალი და მისი სპიკერი მეუღლე ხომ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები ბრძანდებიან, „რესპუბლიკელები“ კი „ნაციონალებთან“ არიან ჩახუტებულები და ირაკლი ალასანიასთანაც მეგობრობენ. ჰო და, ასეთი ახლობლების პატრონს, რისი შიში უნდა ჰქონდეს? „ნაციონალებს“ ხომ ომისა და სამხედრო საქმის ისეთი „დიდოსტატები“ ჰყავთ, როგორებიც არიან 2008 წლის აგვისტოს ომის „მომგები“ მიშა სააკაშვილი, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, თემურ იაკობაშვილი; ციხეში მყოფ უგულავაზე და ძებნილ კეზერაშვილზე აღარაფერს ვამბობ. ამათ დაუმატეთ დიდი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგი ირაკლი ალასანია და, ერიჰაა! ეგენი თუ თინა ამირსპასალარს გვერდში ამოუდგნენ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე კი არა, გია ყარყარაშვილი რომ იქაჩებოდა, იმაზე მეტად გაიქაჩებიან.

გია ყარყარაშვილი რას იქაჩებოდაო? — იკითხავს მავანი. რას და, მაშინდელ პრეზიდენტს (თუ სახელწიფოს მეთაურს!) ყელგაწვდილი ეხვეწებოდა: გამიშვით, ბატონო ედუარდ და საქართველოს საზღვრებს როსტოვამდე გადავიტანო. მაშინდელი საქართველოს უფროსი ჭკუადამჯდარი კაცი იყო და არ მისცა ამის უფლება უფროს ლეიტენანტ, უ, ბოდიში, გენერალ ყარყარაშვილს. შენ ისეთი ფიცხი ხარო, — უთხრა, — როსტოვთან არ გაჩერდები და მოსკოვსაც შეუტევო. ამას ის მოჰყვება, რომ მსოფლიოს თვალში აგრესორად გამოვჩნდებით და მაშინ ხომ მომეჭრება თავი ჩემი მეგობრების, გენშერისა და ბეიკერის თვალშიო.

მსოფლიო დონის პოლიტიკოსი იყო მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და ასეთი უბრალო რამერუმეები, რა თქმა უნდა, არ ეშლებოდა.

ეჰ! სადღაა ახლა ის დიდი პოლიტიკოსი! ის ახლა იმ დიდ სოფელში, ალბათ, ტალეირანსა და ბისმარკთან მეგობრობს, რადგან გენშერი და ბეიკერი, ჯერჯერობით, აქ არიან. ჰო და, ვინ დაუშლის თინა ამირსპასალარს დიდ მეზობლებთან გაქაჩვას. გაქაჩვა თუ იკმარა, კიდევ რა გვიჭირს! ე, მანდ ომი რომ დაუწყოს, რაღა ვქნათ, მერე? აგრესორ ქვეყანას ან „ნატოში“ ვინ მიგვიღებს ან ევროკავშირში! იქნებ ისიც გვითხრან, თქვენისთანა ჩხუბისთავები და დიდი მეზობლების დამჩაგვრელები, საერთოდ არ ხართ ევროპელებიო, სად წავიდეთ მაშინ? ოცი წელია, ევროპისკენ მივდივართ და ახლა ხომ ვერ შევცვლით გეზს? არადა, ის რომ ვთქვათ, არსად არ მივდივართ, აქ ვრჩებით, საქართველოშიო, ხომ აგვიგდეს საცინად! გვეტყვიან: დემოკრატიას თუ ამყარებთ და ცივილიზაციასაც გინდათ ეზიაროთ, ევროპისა და „ნატოსკენ“ უნდა მიდიოდეთ, მანდ თუ რჩებით, მაშინ ქართველებად დარჩენა გადაგიწყვეტიათ და ჩაეხუტეთ მაშინ თქვენს მეზობელ რუსეთსო.

აი, რა შეიძლება დაგვმართოს თინა ამირსპასალარის დიდგულობამ...

მაინც რა არისე ეს შიში, კაცოო! მე და ჩემნაირები დაკომპლექსებულები ვართ და ყველაფრის გვეშინია. შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდაო, ხომ გაგიგონიათ, ისეა ჩვენი საქმე, თორემ ვინ „ნატო“ და ევროკავშირი ეტყვის უარს ჩვენს მამაც ხელისუფლებას. თვალი დაუდგეს ევროპას! აგერ არ ჰყავთ დიდი ამერიკელი მეგობრები: მაკკეინი, ნულანდი, ჰილარი კლინტონი, ფსაკი, ტრამპი და მისთანანი! ჯერ მარტო მაკკეინი რად ღირს! ვიეტნამელებთან ექვსწლიანმა ტყვეობამ (ორმოში ჰყოლიათ თურმე), ისე გაავაჟკაცა, აღარაფრის ეშინია. ეს ნულანდი, კიდევ, ისეთი თავზეხელაღებულია, რომ თუ გაბრაზდა, აშშ-ის სამხედრო ფლოტს ისეთი ქვეყნების საზღვრებსაც კი მიაყენებს, რომელთა სიახლოვეს ზღვის ჭაჭანებაც არ არის. ასეთი ხალხი ერთს რომ დაუცაცხანებს „ნატოსა“ თუ კატოს, საქართველოს კი არა, ზემო და ქვემო მაჩხანსაც სულ ცალ-ცალკე მიიღებენ.

ისე რომ, თინა ამირსპასალარმა იცის თავის საქმე და ძალაც შესწევს ქადილისა.

როგორც მაგრად დაკომპლექსებულს შეეფერება, შიში მაინც არ მასვენებს: ვაი, და რომ დამარცხდეს თინა ამირსპასალარი მავთულხლართების მისადგომებთან, როგორც დიდგულა ნაპოლეონი დამარცხდა მოსკოვთან, ჩვენ რაღა გვეშველება მაშინ? თინა ამირსპასალარი, მისი სპიკერი ქმარი და მათი ნაზირ-ვეზირები, ალათ, ისე გაქუსლავენ აქედან, რომ ვეღარც მათი და ვეღარც სხვათა ცხენები დაეწევიან, მკვდარსა და ცოცხალ ჯარისკაცებსაც მიატოვებენ და სამშობლოსაც (თუ კი, საერთოდ, გააჩნიათ ასეთი რამ!), მაგრამ ამით ბევრს არაფერს დაკარგავენ, წასასვლელი არა აქვთ, თუ რა? შეიძლება გუბერნატორობასა და მინისტრობასაც კი გამოჰკრან ხელი დემოკრატიისა და ევროკავშირის გზაზე შემდგარ რომელიმე სახელმწიფოში. მაგათ ისეთი პატრონები და წამქეზებლები ჰყავთ გაღმა, რომლებიც თავიანთ შვილობილებს კი არა, საკუთარ ძაღლიშვილებსაც არ ტოვებენ უპატრონოდ.

ჩვენ ვინ გვყავს? არავინ! ღარიბები ვართ. „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო“, გვმოძღვრავდნენ ჩვენი ბრძენკაცები და როგორც ჩანს, ჩვენ ჩვენი თავი თან არ გვახლავს. ასე რომ არ იყოს, ჩვენი ქვეყნის ამირსპასალარს თინა კი არა, დავითი, გიორგი, ვახტანგი, ერეკლე ან სოლომონი ერქმეოდა.

ახლა ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ, სად დაგვრჩა თავი, უკან მივბრუნდეთ და მოვნახოთ იგი, თუ, რა თქმა უნდა, უკვე სხვებს არ ადგათ იგი მხრებზე...

რაც უფრო მალე მოვნახავთ საკუთარ თავებს, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც, თინა ამირსპასალარისთვისაც და იმათთვისაც, ვინც ჩვენთვის ჭკუის დარიგებას არიან გადაყოლილები.

ზურაბ ცუცქირიძე

◎ ალიან-ჩალიანი

თინა ხიდაშელი ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებულების სამინისტროში აღდგენას განმარტავს

ვინმეს დამნაშავეობა/უდანაშაულობა თავდაცვის სამინისტროს განსასჯელი არ არის. ამას სასამართლო დაადგენს, ჩვენ კი კვლავაც კანონის უზენაესობის სამსახურში ვიქნებით, — ასე გამოეხმაურა თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებულების თავდაცვის სამინისტროში აღდგენის ფაქტს. თავდაცვის მინისტრმა განმარტა რის საფუძველზე მოხდა ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებული პირების აღდგენის ფაქტი.

„1.თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები არასოდეს ყოფილან გათავისუფლებული. 2. გემახსოვრებათ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ჩემი წინამორბედის ბრძანებით, სწორედ პატიმრობის გამო მათ ავტომატურად შეუჩერდათ უფლებამოსილება. 3. ასევე გემახსოვრებათ, სასამართლომ ამ ადამიანების აღმკვეთი ღონისძიება შეცვალა და პატიმრობა შეწყდა. ეს კი ნიშნავს რომ საფუძველი - ზევით ნახსენები აქტი, აღარ არსებობდა. 4. ჩვენ, სასამართლო გადაწყვეტილების და კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მათთვის შეჩერებული უფლებამოსილება აღვადგინეთ. 5. ვინმეს დამნაშავეობაჰუდანაშაულობა თავდაცვის სამინისტროს განსასჯელი არ არის. ამას სასამართლი დაადგენს, ჩვენ კი კვლავაც კანონის უზენაესობის სამსახურში ვიქნებით“.

რუსმა მესაზღვრეებმა კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის ტერიტორიიდან ადგილობრივი მკვიდრი, 36 წლის მამუკა სამხარაძე გაიტაცეს.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, შეიარაღებულმა პირებმა მამუკა სამხარაძე ცხინვალის მილიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში გადაიყვანეს. ჯერჯერობით დაკავებულის ოჯახს არავინ დაკავშირებია.

ინტერპრესი

უპასუხისმგებლო მძღოლებს ჩვენი გენოფონდი ეწირება

„სამწუხაროდ, დღეს არსებული რეალობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან საგზაო უსაფრთხოების თემა იგნორირებულია“.

რამდენიმე დღის წინათ გრიგოლეთში მომხდარ ავარიას 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი მოზარდი შეეწირა, სოფელ მისაქციელთან სწრაფად მიმავალმა მანქანამ 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა, თემქაზე მომხდარ ავარიას ორი ადამიანი შეეწირა – ეს ბოლო ორ კვირაში საქართველოში მომხდარი ავარიების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა. ზაფხულის დადგომასთან ერთად ავარიების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. სპეციალიტები შექმნილ სიტუაციის საგანგაშოს უწოდებენ და სახელმწიფოს ქმედითი ღონისძიების გატარებისკენ მოუწოდებენ.

საგზაო უსაფრთხოების ექსპერტების თქმით, გახშირებული ავარიების ძირითადი მიზეზი გაუმართავი ტრანსპორტი, მძღოლების ცნობიერების დაბალი დონე, გადაჭარბებული სიჩქარე, გზებზე ნაკლებად ან თითქმის არარსებული ხელოვნური დამაბრკოლებელი ნიშნები და შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო რეაგირებაა. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა თბილისშიც. ახალი ამბავი არაა, რომ დედაქალაქში ქვეითად მოსიარულეს დიდი სიფრთხილე მართებს. მაშინაც კი, როცა შუქნიშანი ავტომანქანას ქვეითად მოსიარულესთვის გზის დათმობას ანიშნებს, გამორიცხული არ არის, რომელიმე მხრიდან მანქანა გამოვარდეს და გზა გადაგიჭრათ. ე.წ. ზებრა გადასასვლელები თბილისში ნაკლებად არის, მძღოლები კი მას რატომღაც ვერ ამჩნევენ. ამიტომ, მაღალია იმის ალბათობა, რომ ზებრაზე გადასვლისას მანქანამ გზა არ დაგითმოთ და გადაჭარბებული სიჩქარით სვლა განაგრძოს. სამწუხაროდ, ამის არაერთი მაგალითი ყოველდღე გვაქვს.

სატრანსპორტო საცობი, რომელსაც საშუალოზე დაბალი სიჩქარით მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქმნის, ავტობუსების ქსელის არასრული დაფარვა, დაგვიანება, შუქნიშნების ნაკლებობა ან არარსებობა, სამთავრობო დაწესებულებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაჭიანურება, გრძელვადიანი გეგმების არარსებობა – ეს აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის შედეგების მცირე ჩამონათვალია.

გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევებისა და საგზაო უსაფრთხოების აუცილებლობაზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი**: „პრაქტიკულად, ჩვენი ქვეყნის ქუჩებზე დღეს ომია! დღე არ გავა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას ადამიანის სიცოცხლე არ ემსხვერპლოს. რაც შეეხება ზაფხულში მომრავლებულ ავტოსაგზაო შემთხვევებს, ეს იმიტომ ხდება, რომ ამ პერიოდში უფრო მეტი მოძრაობა ქალაქგარეთ არის. მძღოლები გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობენ. საპატრულო პოლიციის მხრიდან მეტი სიმკაცრეა საჭირო. სამწუხაროდ, სათანადო რეაგირება არ ხდება, კონკრეტულ ფაქტზე ძიება მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოო შედეგი არ საჯაროვდება. მძღოლების ცნობიერება საკმაოდ დაბალია, ტრანსპორტი გაუმართავია. ეს ყველაფერი ერთად კი ტრაგიკულ შედეგებს იწვევს. ამ დრომდე დამტკიცებული არ არის საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის ამოქმედება დროული და აუცილებელია. აუცილებელია სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია და ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება. თორემ გვეღუპება მომავალი, ავარიის დროს გარდაცვლილთა უმრავლესობა სწორედ ახალგაზრდები არიან. ადამიანური რესურსის დაკარგვის გარდა, მატერიალური დანახარჯიც დიდია. ერთი დაღუპულის უკან ხშირად 3-4 სული დგას. ცალკე თემაა ავარიის შედეგად დაზარალებული ადამიანები, რომლებიც ხშირად შრომისუუნაროები ხდებიან. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში კოლოსალურ დანახარჯებს იწვევს. საგზაო უსაფრთხოების დარეგულირება უმნიშვნელოვანესია. ამ გზით შესაძლებელია სიკვდილიანობის შემცირება, ხოლო თანხების სხვა მიმართულებით წარმართვა. სამწუხაროდ, დღეს არსებული რეალობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან საგზაო უსაფრთხოების თემა იგნორირებულია.“

„საქართველოს და თბილისის მერიას კვლავ უჭირთ სახელმწიფო და ადგილობრივი ტრანსპორტის განვითარების შეთანხმებული სტრატეგიის განსაზღვრა. ინსტიტუციონალური წყვეტა საგრანსპორტო სექტორში აბრკოლებს შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირებას. საქალაქთაშორისო დაკავშირება არ ექვემდებარება თბილისის მერიის საკანონმდებლო ბაზას და ქმნის ქაოსს ქალაქში, რისი მართვაც რთულია ქალაქის მთავრობის მხრიდან სამართლებრივი მექანიზმების სიმცირის გამო. საქალაქთაშორისო ავტობუსების და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი და უსაფრთხოების სტანდარტები დაბალია. საქალაქთაშორისო ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურებასთან დაკავშირებული რეგულაციები არსებობს, მაგრამ მხოლოდ ფურცელზე. ამ რეგულაციების გატარება ნამდვილად გააუმჯობესებს უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტებს“.

ამონარიდი აზიის განვითარების ბანკის
მიერ დაფინანსებით ჩატარებული კვლევიდან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ტრამვაის“ და თბილისის მერიასთან არსებული საგზაო-სატრანსპროტო და ინფრასტრუქტურის საკოორდინაციო ჯგუფის წევრი **კახა მჭედლიძე** ამბობს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თხოვნით თბილისის მერიას ბევრჯერ მიმართეს. თუმცა, ამას რეაგირება არ მოჰყოლია:

– არაერთ უცხოელ ტურისტს დაუჩივლია ჩემთან, რომ თბილისი ძალიან არამეგობრულია ქვეითად მოსიარულეების მიმართო. ტროტუარები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, ე.წ. ზებრა გადასასვლელები არ არის, ხოლო სადაც არის, გადასვლა სახიფათოა. მძღოლები არათუ ზებრას, არამედ მასზედ გადამსვლელ ადამიანს ვერ ამჩნევენ. მერია და ხელისუფლება თუნდაც საინფორმაციო კამპანიის მოწყობას არ ცდილობს, რომ ამ გზით მძღოლების ინფორმირებულობა და შეგნების დონე აამაღლოს. ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც კი, შეჩვეულები არიან, რომ ზებრა გადასასვლელი ქვეითად მოსიარულეს ეკუთვნის და როგორც კი ფეხს დადგამს, ყველა მანქანა უნდა გაჩერდეს. ექსტრემალურ სიტუაციაში ჩვენი მძღოლები არაადეკვატურად იქცევიან.

– მერიის სატრანსპორტო სამსახურს სამოქმედო გეგმა ჯერაც არა აქვს, რატომ?

– ჯერჯერობით, გეგმა არ არსებობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მერიაში პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. ამასობაში ეს დრო გადის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირი საკადრო ცვლილებებიც საქმის კეთებას ხელს უშლის. ერთი დაიწყებს საქმეს, მერე ახალი კადრი მოვა, ის თავიდან დაიწყებს და ასე გრძელდება.

როგორც ინფრასტრუქტურის სამინისტროში განმარტავენ, საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიაზე მუშაობა დასრულდა და ამ ეტაპზე ის კონკრეტულ სამინისტროებს განსახილველად გაუგზავნეს. მათი რეკომენდაციების მოსმენის შემდგომი სტრატეგიის საბოლოო ვერსიის პრეზენტაცია იგეგმება. ამავდროულად, თბილისის მერიამ 2015-2020 წლების გარემოსდაცვითი სტრატეგია წარადგინა, სადაც საუბარია სატრანსპორტო პრობლემების აღმოფხვრის გზების შესახებ. ფაქტია, რომ რეკომენდაციები, გეგმები, მიზნები, ამოცანები საკმარისზე მეტი დაგროვდა. თუმცა, რეალური სურათი სხვა რამეს მეტყველებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2014 წელს ავტოავარიის შედეგად 511 ადამიანი გარდაიცვალა, 2013 წელს – 514, 2012 წელს – 605, 2011 წელს – 526, 2010 წელს – 685, 2009 წელს – 741, 2008 წელს კი – 867.

სალომე გოგოხია

◎ კანონი გვიშველის?

მომხმარებლთა უფლებების დასაცავად სპეციალური კანონი გვექნება

პარლამენტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პროექტზე მუშაობას იწყებს.

განსახილველად წარდგენილია საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სამომხმარებლო სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად – რეგულაციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით შემოდის, როგორიცაა: დისტანციური და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები, შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საქმიანობა, ხელშეკრულების უსამართლო პირობები.

კანონის პროექტით განსაკუთრებული ყურადღება მომხმარებლისთვის პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან და საგარანტიო ვადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ეთმობა. პროექტით მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს, ხოლო მოვაჭრე ვალდებულია გასცეს ინფორმაცია პროდუქციის დასახელების, მოვაჭრის ვინაობის, პრეტენზიის განხილვის პირობების, პროდუქტის დამზადების თარიღის, ვარგისიანობის, პროდუქტის სრული ფასის, გადახდის, მიწოდებისა და საგარანტიო პირობების, პროდუქციის გამოყენების წესების, ხელშეკრულების ვადის, ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის, ტექნიკური პასპორტისა და შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ. ხელშეკრულების დისტანციურად და ქუჩაში გაფორმების დროს, მომხმარებელს დამატებით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კომუნიკაციის ხარჯების, საჩივრით მიმართვის უფლების, ვალდებულებების შესრულების მინიმალური ვადის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში პროდუქციის უკან დაბრუნებისათვის საჭირო ხარჯების მოვაჭრის მიერ დაფარვისა და ფინანსური გარანტიების შესახებ.

კანონპროექტის მიხედვით, ხელშეკრულების შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს, მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას უარი ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტი განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

გარდა ამისა, პროექტით ახალი ინსტიტუცია – მომხმარებელთა ომბუდსმენი შემოდის. მომხმარებელთა ომბუდსმენი იცავს მომხმარებელთა ინტერესებს, ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ავლენს და განიხილავს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლების აღდგენას, მათ შორის მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. პროექტით მომხმარებლის ომბუდსმენს უფლება აქვს, როგორც მომხმარებლის წარმომადგენელმა მიმართოს სასამართლოს მომხმარებლის უფლებების ხელყოფის აღსაკვეთად და მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში.

მომხმარებელთა ომბუდსმენს თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტია. როგორც კომიტეტში განმარტავენ, პროექტის მიღების მიზანშეწონილობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოციირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარეობს, განხორციელდეს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში არსებულ რეგულაციებთან დაახლოება. **„ამრიგად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში“,** – აცხადებენ კომიტეტში.

პროექტის განხილვას პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე დაიწყებს.

ნათია ინაური

როდის გამოფხიზლდება ჩვენი საზოგადოება?

საშოგლო ხელში გვაღნება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში („გზა, ურმის გადაბრუნების შემდეგაც რომ აღარ ჩანს?!“) ავტორი, გულნარა სტურუა გულისტკივილით აღწერს იმ ვითარებას, რასაც ჩვენში აქვს ადგილი და უზნეობისა და უკულმართობის შედეგად მიღებულ „სიამტკბილობას“ ასეთ დასკვნას უსადაგებს: „რამდენჯერ უნდა გადაგვიბრუნდეს ეს საცოდავი ურემი, რომ ქართველებმა საკუთარი გზა ვიპოვოთ და სხვის გზას არ დავადგეთ, სხვისი სახლები და სხვისი ტაძრები არ ავაშენოთ, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ მიწაზე“.

ერთმნიშვნელოვნად ვიზიარებ ქალბატონი გულნარას გულისტკივილს და მსურს, ხმა შევაშველო მის მოსაზრებას ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე ვისურვებდი, სხვასაც გამოეთქვა თავისი აზრი, ვინაიდან მხოლოდ შეძახილს – სისტემატურსა და ობიექტურს, შეუძლია მიძინებული ხელისუფლების, რაც მთავარია, საზოგადოების გამოფხიზლება იმ მატყუარა ძალისგან, რაშიც რახანია იმყოფება საქართველო.

საქართველომ დამოუკიდებლობის სტარტი ცუდად აიღო და რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდებით ამაში. ცუდ დასაწყისს ცუდი გაგრძელება მოჰყვა, ყველაფერს ერთად, შიდააშლილობა, გაუტანლობა, სამოქალაქო ომები და ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, ტერიტორიების დაკარგვა, ისეთი აწმყოს „გამოჭედვა“, სასურველი მომავლის უღიმღამო პერსპექტივასაც რომ არ გვისახავს.

გაუსაძლის ეკონომიკურ-საფინანსო მდგომარეობასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია ისეთმა უსერიოზულესმა პრობლემამ, როგორიცაა დემოგრაფია. მართალია, საქართველოსთვის ეს „აქილევსის ქუსლი“ მუდამ აქტუალური იყო, მაგრამ „ავადსახსენებელ“ საბჭოთა პერიოდში, სერიოზული ძალისხმევით, მოგვარების გზას ედგა.

აღარც საბჭოეთია და აღარც ავი დემოგრაფიის გამოსწორების პროგრამა. რაც არის, ისეთივეა, როგორც ოკეანეში წვეთი. ასე და ამრიგად, გაეროს კვლევის მიხედვით, საქართველო ყველაზე ბებერი ქვეყნების სიაშია. 2011-50 წლებში კი მოსალოდნელია მოსახლეობის 20%-ზე მეტით შემცირება.

თუ რას ნიშნავს მოსახლეობის ამ დონეზე შემცირება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა – ახსნა-განმარტება არ სჭირდება. არც ის არის დასამშვიდებელი, სხვაგანაც რომ კლებულობს მოსახლეობა. ისინი თავს მიხედავენ. აი, რაც შეეხება საქართველოს –– მიმხედავიც არავინაა. კიდევ ერთხელ ვამბობ – პროგრამა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, ერთობ მცირეა ეროვნული პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ნეგატიური დემოგრაფია მარტო დუხჭირ ცხოვრებას არ უკავშირდება. აქ სხვა მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის სულიერიც, მაგრამ ყველაფერში რომ მხოლოდ ნეგატივი გვაქვს?

დემოგრაფიით სტატიის დაწყება არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ქვეყანაში, სადაც საშუალო და მეტი ასაკის ადამიანი ჭარბობს ახალგაზრდას, ამ უკანასკნელის განუზომელი ზეობაა. უთავბოლო დამოუკიდებლობის წლებმა გვარგუნა დაბერებული ქვეყნის მოჩვენებითი ახალგაზრდული იერსახე. ცხადია, მოჩვენებითი სხვისთვის – უცხოელისთვის, რომელსაც ვეტრფით და ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოგვიდგენია.

„ბებერ“ ქვეყანაში მხოლოდ ახალგაზრდა ჩანს ყველგან, ყველა დარგში და ყველა სფეროში. დომინანტი ასაკი არსად ჩანს. არ მოიძებნა მისთვის ადგილი. სააკაშვილის მმართველობის წლებმა უმძიმესი დაღი დასვა „მამათა“ არსებობას, რამაც მომაკვდინებლად იმოქმედა ქვეყანაზე, მის ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ყოფაზე.

დასამარდა ძველი და მის ნაცვლად აღმოცენდა ახალი, სარეველას მსგავსი. გაქრა სახელმწიფოებრივი აზროვნება. რევოლუციურ-ევოლუციურ პროცესში თავისი წვლილი მამებსაც მიუძღვით. რომ არა მათი მონური მორჩილება და ახალგაზრდა ხელისუფალთა მიმართ ყმური დამოკიდებულება, ვითარება ესოდენ დამრთგუნველი არ იქნებოდა.

მართალია, ურემი კარგა ხანია გადაბრუნებულია, მაგრამ „ძველგაზრდებიდან“ დღესაც არ ჩანს გულნარა სტურუას მსგავსი შემძახებელი. სად არიან ისინი, რატომ არ ამბობენ სიტყვას? ნუთუ მოსწონთ დღევანდელი ვითარება, მეტწილად გამოწვეული ამჟამინდელი ხელისუფლების ბედოვლათობით? ნუთუ მოსწონთ ის მანკიერი მმართველობა, რომელმაც ბოლო წლებია ფეხი მოიკიდა ქვეყანაში?

წინაზე ზედმეტია ლაპარაკი – ის წასულია და თუ მის დანაშაულებზე გადაგვაქვს აქცენტი, დასჯაც დღევანდელების საქმეა. ნუთუ ვინმეს მოსწონს ქვეყნის მართვა კულისებიდან და პიროვნებისგან, რომელსაც ოფიციალური პასუხისმგებლობა არ აკისრია? როგორც ჩანს, მოსწონს, სხვას, რას დავაბრალოთ პირში წყლის ჩაგუბება?

„მამებმა“, ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ხმა ჩაიკმინდეს საკუთარი თავის კეთილდღეობისთვის, ალბათ შემდეგი მოსაზრებით – ქვეყანას მაინც არაფერი ეშველება, ჩემ თავს კი „ქველმოქმედის“ ნაბოძები დააკლდებაო. მსგავსი „სათავისობა“ ყოველთვის იყო ბედკრული საქართველოს ისტორიაში, მაგრამ მოჭარბებულად მან თავი ე.წ. დამოუკიდებლობის დროს იჩინა. და რახან ასეა, არ უნდა გვიკვირდეს ის ქაოსი, რომელიც საქართველოშია.

ვეთანხმები ქალბატონ გულნარას, რომ ქვეყნის სახე, ყველაფერთან ერთად, მათ შორის სულიერებასთან, ხუროთმოძღვრებაშია. კარგად გათვლილი, გამართული, მიმზიდველი არქიტექტურა უდავოდ სხვაგვარს, მობილიზებულს ხდის მის შემხედვარეს, მასში მცხოვრებს, არ ჰკრავს ხელს დანაგვიანებისკენ, გაფუჭებისკენ, განადგურებისკენ. დანაგვიანებაა ქუჩაში გადაგდებული ნაგავი და უსახური საცხოვრებელი სახლები, თანაც ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი.

დანაგვიანებაა, როდესაც ძველ ქალაქში უფუნქციო ხიდს და რაღაც გაურკვეველი დანიშნულების „მილებს“ ჩადგამ. დანაგვიანებაა, როდესაც „დეზერტირის“ ბაზრის გაყოლებაზე, ტროტუარებზე მაღაზიებს ააშენებ, ხოლო „დინამო“ არენაზე, სათადარიგო საფეხბურთო მოედნის ნაცვლად, ფასიან ავტოსადგომს მოაწყობ, მასთან ერთად მაღაზიებს.

დანაგვიანებაა, როდესაც მშენებლობას დაიწყებ და მიატოვებ. თბილისი რომ დაბომბილ ხიროსიმას დაემსგავსება – ესეც დანაგვიანებაა. დაუმთავრებელი სახლების ჩონჩხები და ძონძებჩამოფარებული ძველი სახლების ფასადები ხომ მრავალი წელიწადია „გვხიბლავს“?!

სრულიად ვეთანხმები ცნობილ მშენებელს ომარ მარგველაშვილს, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ წერდა, რომ მიუღებელია „თეთრი“ და “შავი“ კარკასი, საცხოვრებელი სახლი ბოლომდე უნდა დასრულდეს.

დამოუკიდებლობის წლებში რაც შევითვისეთ – ვისაც რა უნდა, იმის კეთების „ნებართვაა“, ანუ გინდა „სპორტის სასახლის“ წინ „სუპერმარკეტის“ ან საცხოვრებელი სახლის აშენება და ააშენებ, ვინ გიშლის? მერია მზადაა, ნებისმიერი სახის მშენებლობაზე გასცეს ნებართვა, თანაც ნებისმიერ ადგილას. ვიღაცამ მოინდომა და ლუდის რესტორანი ჩადგა ვარაზისხევში; ვიღაცას მოუნდა „იპოდრომის“ ტერიტორიის გამოყენება და გამოიყენა; ვიღაცამ ვაკის პარკში სახლები ჩადგა ისე, რომ ხმა არავის ამოუღია. ასათიანის ქუჩის სიღრმეში ვიღაცამ საცხოვრებელი კორპუსების ჩადგმა მოინდომა და მიუხედავად პატარა პროტესტისა, მაინც დაიწყო მშენებლობა...

„ბებერ“ ქვეყანაში მხოლოდ ახალგაზრდა ჩანს ყველგან, ყველა დარგში და ყველა სფეროში. დომინანტი ასაკი არსად ჩანს. არ მოიძებნა მისთვის ადგილი. სააკაშვილის მმართველობის წლებმა უმძიმესი დაღი დასვა „მამათა“ არსებობას, რამაც მომაკვდინებლად იმოქმედა ქვეყანაზე, მის ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ყოფაზე.

რამდენი ერთი ჩამოვთვალო? ყველა მაგალითიდან გამოსჭვივის „დღევანდელთა“ ზედაპირულობა და „გუშინდელთა“ გულგრილობა. მე, როგორც „გუშინდელი“, ისე, როგორც ზოგიერთი, ნამდვილად არ ვარ გულგრილი, მაგრამ თითო მერცხლის მდგომარეობაში ვართ. არადა, ამ განუკითხაობას ომახიანი მრავალხმიანობა ესაჭიროება, თანაც სისტემატური და არა პერიოდული. როგორც ჩანს, არც ენერგია გვყოფნის და არც შემართება. სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გვრთგუნავს.

დედაქალაქში პატარა კუთხეს ვერ მოძებნი, რომელიც ქუჩებით, სახლების ლამაზი ფასადით და მოვლილი ბაღით, გაზონით ან სკვერით მიგიზიდავს. ჩვენ შევეჩვიეთ საწვიმარი მილების ირგვლივ ბათქაშჩამოცვენილი სახლების ფასადებს, უპატრონოდ მიტოვებული სახლების სადარბაზოებს, გაუმართავ, ავარიულ ლიფტებს, ჭუჭყიან ეზოებს და მტვრიან ოღრო-ჩოღრო ტროტუარებსა და ქუჩებს, უკმეხ მომსახურებას საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში, ქუჩაში მზესუმზირის ფურთხებას და სიგარეტის ნამწვავების ყრას.

მივეჩვიეთ ამორტიზებულ საქალაქო ტრანსპორტს. მაინც რა დიდი პრობლემაა თუნდაც ასეთზე ნომრის დაწერა? საქალაქო ტრანსპორტს, ავტობუსი იქნება ის თუ „მარშრუტკა“, ოთხივე მხარეს ნომერი უნდა ჰქონდეს. ნაცვლად ნომრისა, რეკლამებითაა აჭრელებული.

მაინც რა პრობლემაა ქუჩებისა და ტროტუარების წყლით მორეცხვა? იქით, საითაც ვითომ მივდივართ, დღეში ხომ არაერთხელ რეცხავენ ქუჩებს? ჩვენი ცხოვრება, ყოფა, მით უმეტეს ქცევა რომ ძალიან შორსაა თუნდაც იმ „ცისფერი“ ევროპისგან, ხომ ფაქტია? და მიუხედავად ამისა, ჯიუტად გავიძახით ევროპაში ვბრუნდებითო.

პირდაუბანელსა და მოუწესრიგებელს, შეგვიშვებენ ევროპაში?! სურს ევროპას ისეთი სურნელი, ჩვენს საქალაქო ტრანსპორტში რომ ტრიალებს? თუ სურს, მაზოხისტები ყოფილან.

მავანი შემედავება – ჩვენ დიდი წარსულისა და ისტორიის ქვეყანა ვართო. კეთილი, მაგრამ მარტო წარსული გვიშველის, როდესაც ქუჩებში, საზოგადო თავშეყრის ადგილებში ისეთი ბილწსიტყვაობა ტრიალებს – „დედის ტრ..ი“, რომ სასიამოვნოდ მოგესმებათ.

წარმოუდგენელი დაძაბულობა იგრძნობა ყველგან და ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, ერთი პატარა გადაკრული სიტყვაა საჭირო, რომ ჩხუბმა იფეთქოს. მეტყვიან – ეს ყველაფერი ევროკავშირში შესვლის შემდეგ გამოსწორდებაო. არა, მეგობრებო, ეს მხოლოდ სახლში, სკოლაში, ქუჩაში, უნივერსიტეტებში აღზრდით გამოსწორდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები და მასწავლებლები აღზრდილები იქნებიან. სამწუხაროდ, ამ მხრივ ისინი უდავოდ მოიკოჭლებენ.

ჩვენ მოგვწონს ევროპა და მოგვწონს ზედაპირულად, ფასადურად. მოგვწონს მისი ლამაზფასადიანი სახლები, მოვლილი ბაღები, ძუჩები, აუღელვებლად მოსიარულე პუბლიკა, თავაზიანობა, სუფთა ტრანსპორტი, ერთმანეთის მიმართ მოკრძალებული დამოკიდებულება, წესრიგი და სხვა. და თუ ეს მოგვწონს, რა გვიშლის ხელს შევძმნათ ისეთივე აძ, იძ წაუსვლელად?! ძუჩაში გადაფურთხებისგან გადასაჩვევად მივდივართ ევროპაში? წავიდეთ ისე, როგორც უკვე წასული მილიონნახევარი? აძ ვინ დარჩება? თითო-ოროლა „გუშინდელი“, ასაკოვანი და დავრდომილი?

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა წავიდეთ? თუ შენს ქვეყანაში, შენს მიერ მოწეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას არავინ იბარებს, თუ მიწებს უცხოელზე ჰყიდიან და საძოვრებს არ გიტოვებენ, სამუშაოს არ გაძლევენ და მხოლოდ დაპირებებით გკვებავენ, შენსავე ქვეყანაში მეორეხარისხოვნად გაქცევენ და იმ საქმეში, რასაც აკეთებ, შენს თურქ კოლეგას გაცილებით მეტ ხელფასს უხდიან, ვიდრე შენ?

დიახ! ჩვენ ამასაც შევეჩვიეთ და ვხუმრობთ – თურქეთში ვცხოვრობთო, ცხადია, აჭარაზეა ლაპარაკი. მაინც სად მიგვიჩქარება? ის ევროპა ხომ გაცილებით სწრაფად შემოდის აქ, ვიდრე ჩვენ შევალთ იქ? ასე, რომ სულაც არ მიკვირს იმ ჩემი ბათუმელი მეგობრის, რომელიც დარეკვისას მეუბნება – თურქეთიდან გირეკავო. არადა, ვითომ სახუმაროდ გვაქვს საქმე?

ხუმრობაა, როდესაც დასავლეთის მიერ გულგამაგრებულ საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, რომ ფრანგული ანტისაჰაერო სისტემის შეძენით, შევძლებთ რუსეთის შეტევის მოგიერებას. დავუშვათ ერთხელ მოვიგერიეთ, რის შემდეგაც საბოლოო შედეგისთვის შეტევაზე გადასვლაა საჭირო, ვართ კი ამის გამკეთებლები?! და თუ არა, რატომ ვყრით ფულს საქმეში, რომელიც ნაცვლად უდრტვინველი ცხოვრებისა, რუსეთის რაკეტების სამიზნედ გვაქცევს?

როგორც ამბობენ - სამხედრო იარაღის ყიდვა-გაყიდვაში დიდი ფული ტრიალებს. ჩემი თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ სააკაშვილ-კეზერაშვილ-ოქრუაშვილს. ისიც ჰკითხეთ, საიდან ფული, ასე ხელგაშლილად რომ ცხოვრობენ უცხოეთში? საიდუმლო გარიგებაში, რაღაც მსგავსი ხომ არ იკვეთება? ამას მომავალში აეხდება ფარდა.

თუ ვინმეს სამშობლო ტკივა, რაკეტების ყიდვას კი არ უნდა მოჰყვეს, მტერთნ უნდა მივიდეს სალაპარაკოდ. და თუ ლაპარაკი შედგა, მით უმეტეს ურთიერთობა, რაღა ეშველება საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც მთელი პოლიტიკა რუსეთის მტრისხატობაზე აქვს აწყობილი?! რით მოხიბლავს ის ვაშინგტონს ან ბრიუსელს? მათაც ხომ საქართველოსთვის მხოლოდ რუსეთის გამაღიზიანებლის პრიმიტიული როლის შესრულება აქვთ დავალებული?

ხელისუფლების ამბავი რომ ჩვენი ყოფითი ცხოვრების „რომანში“ ჩავრთე, სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ისიც, ჩვენ რომ საყოფაცხოვრებოდ მივიჩნევთ და მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია და ესეც მნიშვნელოვანი და სახელმწიფოებრივი - ერთი სათავიდან მოდის. ორივეს ხალხი, საზოგადოება შობს და კვებავს. როგორიც საზოგადოებაა, ისეთივეა მთავრობაც . ასეთ საზოგადოებას, ასეთი მთავრობა შეეფერება.

საზოგადოება, რომელიც ყოველდღიურად იმ „საქმეებს“ სჩადის, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და მთავრობა წარბსაც არ შეიხრის, იმ კონსენსუსის მაჩვენებელია, ხალხსა და მთავრობას შორის რომ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა სურათი იქნებოდა, ქალბატონი გულნარას და ჩემნაირების გასახარი. დღეს, ასეთი არ არის და რომ არ არის, მოურიდებლად უნდა ვთქვათ, ყველამ ერთად, ვისაც გული გვტკივა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა, რომელსაც ჯერჯერობით სამშობლოს ვეძახით, ხელში შემოგვადნება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ადამიანის ფსიქიკა

მორფეოსის საუფლოში

სიცოცხლის დაახლოებით მესამედს ჩვენ ძილში ვატარებთ. რა ხდება ამ დროს ორგანიზმში?

მედიკოსებს დღემდე ვერ დაუდგენიათ, თუ რატომაა, რომ ადამიანი უცბად იძინებს. ჩვეულებრივი დღის მიწურულს იგი არც იმდენად დაღლილია, რომ უმალ „გაითიშოს“. ამასთან ერთად, გარე სამყაროდან მომავალი ინფორმაციის ნაკადი არ წყდება.

შვედ მეცნიერთა აზრით, დაძინება, შესაძლოა, თავის ტვინის გარკვეული უბნების „ჩართვით“ იყოს გამოწვეული, რომლებიც დღის განმავლობაში ისვენებენ. ამერიკელმა სპეციალისტებმა კი შენიშნეს, რომ დიდ როლს ასრულებს დღის სინათლის უკმარისობა, რომელსაც, ძილის ჰორმონის მელატონინის გამომუშავების მიზეზით, ჩვენი ბიოლოგიური საათი ღამის დროზე გადაჰყავს. **კვების სპეციალისტებს კი მიაჩნიათ, რომ ძილის მთავარი მიზეზია დღის განმავლობაში ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გარკვეული ნივთიერებების დაგროვება.** არსებობს იმის მონაცემები, რომ ჩვენ თავის ტვინში გარკვეული ცილების გამომუშავების შედეგად ვიძინებთ.

სწრაფი და ნელი

ძილის დროს ორგანიზმი მუშაობას განსაკუთრებულ რეჟიმში იწყებს. ნელი ძილის ფაზაში, რომელზეც ღამის დასვენების 75-85 პროცენტი მოდის, ნელდება გულის მუშაობა, იშვიათდება სუნთქვა, კლებულობს საჭმლის მონელების სისტემის აქტივობა და სხეულის ტემპერატურა. სწრაფი ძილის ფაზაში კი ყველაფერი პირიქითაა – ხშირდება გულისცემა, იწევს წნევა, მამაკაცებს წარმოეშვებათ ერექცია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ დროს ტვინი დღის მანძილზე მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს.

ფსიქოანალიზის შემქმნელს ზიგმუნდ ფროიდს მიაჩნდა, რომ **ძილი – ეს ის დროა, როცა ადამიანი უარს ამბობს გარე სამყაროსთან კონტაქტზე და ურთიერთობაში შინაგან სამყაროსთან, საკუთარ ქვეცნობიერებასთან შედის.**

როცა ადამიანი იძინებს, მისი ნება აზრების კონტროლს კარგავს, წარმოიშვება აზროვნების განსაკუთრებული სახეობა, რომლის წყალობით ჩვენ ფანტასტიკურ სახეებს, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ სცენებს ვხედავთ, სადაც დრო რეალური ცხოვრებისგან განსხვავებულად მიედინება.

სიზმრები დაძინებიდან დაახლოებით საათნახევარში იწყება და ძილის მთელი ხანგრძლივობის 15-20 პროცენტის განმავლობაში მიმდინარეობს. თითოეული სიზმარი რამდენიმე წუთს გრძელდება, თუმცა კი ჩვენ ეს დრო გაცილებით მეტი გვგონია. ბევრნი ირწმუნებიან, რომ სიზმრებს არასოდეს ხედავენ, სინამდვილეში კი ღამე ნანახი აღარ ახსოვთ, რასაც ძილის დროს გადაღებული ენცეფალოგრამები მოწმობს.

ქვეცნობიერების თამაშები

ფსიქოანალიტიკოსებმა დიდი ხნის წინათ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ **სიზმრები – გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემათა გადაჭრის ხერხია. ადამიანი არარეალურ ვითარებაში „ათამაშებს“ კრიტიკულ სიტუაციებს და მათგან ისეთ გამოსავალს ნახულობს, რომელიც მას აწყობს და ფსიქიკას ტრავმას არ აყენებს.** იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას სხვა გადაწყვეტილებასთან შერიგება უხდება, ძილში იგი ემოციებისგან იცლება. შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომაა, რომ ძილში მამაკაცები უფრო აგრესიულნი, ქალები კი უფრო სექსუალურები არიან.

ძილში მიმდინარეობს განსაკუთრებულად მომგებიანი გადაწყვეტილებების ძიება, ვინაიდან აზროვნებას ადამიანის აღზრდის, განათლების, ავტორიტეტების, შაბლონების ტვირთი აღარ აწევს.

უკეთ რომ დაგეძინოთ

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნარინჯისფერი შუშებიანი სათვალე... უძილობას შველის.

უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ გაჯეტების ეკრანების ცისფერი სინათლე, ორგანიზმის ბიორითმებს არღვევს და ძილის ჰორმონის – მელატონინის – გამომუშავებას ხელს უშლის. გაჯეტების ცისფერი შუქის დაბლოკვა კი ნარინჯისფერს შეუძლია. ამიტომაცაა, რომ მათ, ვინც საღამოობით ნარინჯისფერი ან მოწითალო ფერის შუშებიან სათვალეს ატარებს, საღამოობით უფრო მეტად ეძინებათ ხოლმე.

ყინული ტრავმებს არ კურნავს

არსებული შეხედულების მიუხედავად, ყინული არ ხსნის შეშუპებას და არ აუმჯობესებს სისხლძარღვთა მდგომარეობას.

ამ საკითხის გარკვევას მიუძღვნეს თავიანთი გამოკვლევა ავსტრალიელმა მეცნიერებმა. ისევე, როგორც უამრავ სხვა შემთხვევაში, გამოსაცდელი ობიექტი ვირთაგვები იყვნენ, რომლებიც მკვლევარებმა ორ ჯგუფად გაჰყვეს. ერთ ჯგუფს თეძოს ტრავმის მიღებიდან 5 წუთის შემდეგ ნატკენ ადგილზე ყინულიან შესახვევს ადებდნენ და 20 წუთს აჩერებდნენ, მეორეს წევრებს კი ეს პროცედურა არ უტარდებოდათ.

სამი დღის შემდეგ მეცნიერებმა ვირთაგვების სისხლში ანგიოგენეზის – ახალი სისხლძარღვების წარმოშობის პროცესის დამადასტურებელი მოლეკულების – შემცველობა შეამოწმეს. გარდა ამისა, ანალიზებს უნდა ეჩვენებინა სისხლში ანთების დროს

იმუნური სისტემის აქტიური უჯრედები. იგივე პროცედურა გაიმეორეს ტრავმის მიღებიდან 28 დღის შემდეგ.

დაზიანების მიღებიდან 3 დღეში, სისხლში ანგიოგენეზის მარკერის ოდენობა უფრო დაბალი იყო იმ ვირთაგვებში, რომლებსაც ნატკენზე ყინულს ადებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ სისხლძარღვთა აღდგენის პროცესი ამ ჯგუფის ცხოველებში უფრო ცუდად მიდიოდა. ამავე დროს, ანთების დროს აქტიურ უჯრედთა ოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქსოვილების აღდგენას, მომატებული იყო, ამდენად, როგორც ჩანს, ეს კარგი მაჩვენებელია.

ტრავმის მიღებიდან 4 კვირაში, ნატკენ ადგილზე კუნთოვანი ქსოვილის მასა ყველა ცხოველს დაახლოებით თანაბარი ჰქონდა. მაშასადამე, ყინულს არ დაუჩქარებია (თუმცა კი არც შეუნელებია) კიდურის აღდგენის პროცესი.

თუ ბავშვს გული წაუვიდა...

ხშირია შემთხვევები, როცა გარკვეულ მიზეზთა გამო, მშობლების თუ ახლობლების უყურადღებობით, ბავშვები მზეში საჭიროზე მეტ ხანს ატარებენ, რაც, შესაძლოა, გულის წასვლის მიზეზი გახდეს.

ეს, ცხადია, უფრო მეტად ზაფხულის ხვატში ან დახუთულ ოთახში ხდება ხოლმე, თუმცა კი, ამის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, თუ ბავშვი უჭმელია, განსაკუთრებით დღის პირველ ნახევარში. ეს იმის გამო ხდება, რომ სისხლძარღვთა მამოძრავებელი ცენტრი ცუდად აკონტროლებს მათ ტონუსს.

აი, რა უნდა მოიმოქმედონ ამ დროს გარშემო მყოფებმა:

– წამოაწვინონ ბავშვი ისე, რომ ფეხები თავზე მაღლა ჰქონდეს წამოწეული;

– შეუხსნან მოჭერილი საკინძე, სარტყელი ან ქამარი;

– გამოაღონ ფანჯარა და ოთახში ჰაერი შემოუშვან;

– ბამბაზე დაწვეთებული ნიშადურის სპირტის ორთქლი შეასუნთქონ;

– როცა კი ბავშვი გონს მოვა, ცხელი ტკბილი ჩაი დაალევინონ.

მოზარდებმა, ვისაც მსგავსი რამ ხშირად ემართებათ, სისხლძარღვთა მამოძრავებელი ცენტრი აუცილებლად უნდა ავარჯიშონ: **დილაობით უნდა ივარჯიშონ, ბევრი იძინონ, კონტრასტული შხაპი მიიღონ და კარგად გამოიძინონ.**

მზისგან დამცველი ჟოლო

ევროპელმა **მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის, ვინც დიდ დროს მზეში ატარებს, ჟოლო ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო კენკრაა.**

ამიტომაც ისინი რეკომენდაციას იძლევიან: ვინც კი პლაჟზე საბანაოდ წასვლას აპირებს, კარგი იქნება თუ მანამდე ჟოლოს მიირთმევს. საქმე ის არის, რომ ეს კენკრა ანტიოქსიდანტების რეკორდულ ოდენობას შეიცავს, რომლებიც ორგანიზმს მზის მავნე ზემოქმედებისგნ იცავს. ჟოლოს მიღების ოპტიმალური ულუფა კი დღეში 150-170 გრამია.

გარუჯვა ციფრებსა და ფაქტებში

რუჯი – ესაა კანის დაცვითი რეაქცია ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებაზე; მე-20 საუკუნემდე გარუჯული კანი მდაბიოთა ნიშნად ითვლებოდა, რომლებსაც მთელი დღე მზეში მუშაობა უწევთ; ზომიერ და ჩრდილოეთ განედებზე გარუჯვისთვის ყველაზე ხელსაყრელი დროა 11-დან 13 საათამდე, დილის საათები კი (11-დან 12-მდე) – სამხრეთის განედებზე; თეთრი, გაურუჯავი კანის მქონე ადამიანებისთვის მზეში ყოფნის ოპტიმალური დრო ათი წუთია, უკვე გარუჯულისთვის კი – საათი-საათნახევარი; მუქი კანის მქონე შავგვრემანი ხალხი ქერა და ჟღალთმიანებზე უფრო მალე ირუჯებიან, ხოლო კელტური ტიპის ბამბასავით თეთრი კანის მქონე პირთათვის გარუჯვა საერთოდაც არ არის რეკომენდებული; ჭარბი რუჯი ხელს უწყობს კანის დაბერებას და კანის ავთვისებიანი სიმსივნის – მელანომის წარმოშობის რისკ-ფაქტორს წარმოადგენს; გარუჯვა არ ღირს გინეკოლოგიურ დაავადებათა, ენდოკრინულ დარღვევათა, ავ-კეთილთვისებიან სიმსივნეთა მქონე პირთათვის, ასევე მათთვის, ვისაც შაქრის დიაბეტი აქვს; ულტრაიისფერი სხივები ასევე აზიანებენ თვალის ბადურას; მზეზე ზედმეტად ყოფნა ქალებში დაორსულების ალბათობას ამცირებს.

◎ დღევანდელობის პარადოქსები

პროფესიები, რომელთაც საქართველოში გაქრობა ემუქრება

ბოლო რამდენიმე წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდები პროფესიის არჩევის დროს უპირატესობას ძირითადად ერთი და იმავე მიმართულებას ანიჭებენ. სტატისტიკის მიხედვით, ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, იურიდიული და სოციალური მეცნიერებები დომინირებს.

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალში ინჟინრების, გეოლოგების, სეისმოლოგების, ბოტანიკოსებისა და სხვა მსგავსი პროფესიების ადამიანების დეფიციტის წინაშე არ აღმოჩნდეს ქვეყანა? რა გახდა იმის მიზეზი, რომ მსგავსი პროფესიები ახალგაზრდებში პოპულარული აღარ არის? ამის შესახებ ხpn ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორსა და ექსპერტს განათლების საკითხებში გიორგი გახელაძეს ესაუბრა.

„ამ პროფესიების ნაკლები პოპულარობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: პირველი – სტუდენტისა და მისი ოჯახის დამოკიდებულება ამ პროფესიის პერსპექტიულობის მიმართ. მეორე არის სოციალური პრესტიჟი, ანუ როგორია ამ საზოგადოებაში სოციალური სტატუსი ამა თუ იმ პროფესიის მქონე ადამიანისა და მესამე, ამ პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო დანახარჯების გაწევა შემიძლია თუ არა. თუმცა, ყველაზე მეტად სტუდენტები მაინც პერსპექტიულობის მიხედვით ირჩევენ პროფესიას, კერძოდ, თუ რამდენად იოლად შეუძლია ახალგაზრდას ამა თუ იმ პროფესიით მუშაობის დაწყება და მაღალი ანაზღაურების მიღება“, – აღნიშნა გახელაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფესიები მივიწყებულია, ვინაიდან ქვეყანაში შესაბამისი შრომის ბაზარი განვითარებული არ არის. **„მოთხოვნა ბაზარზე მსგავს პროფესიებზე მაშინ არის დიდი, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკა მუშაობს. სახელმწიფომ ამ ფაკულტეტებზე სტუდენტები გრანტირების სისტემით შესაძლოა წაახალისოს, მაგრამ ყველაზე კარგს, რასაც სახელმწიფო გააკეთებს, ის არის, შექმნას კარგი ბიზნესგარემო, რომ ეკონომიკა იყოს მზარდი, ამ პროფესიებს შემდეგ ადამიანები თავისთავად აირჩევენ“,** – აღნიშნა გიორგი გახელაძემ.

საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით განათლების სამინისტრომ უკვე მეორე წელია, უფასო ფაკულტეტები აამოქმედა, რამაც გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ივა მინდაძის თქმით, დაინტერესება გაზარდა: **„იზრდება დაინტერესება საბუნებისმეტყველო მიმართულებების მიმართ. ამაში ალბათ უფასო ფაკულტეტების როლი დიდია. მთავრობის გადაწყვეტილებაა, რომ ამ მიმართულებების სტიმულირებას ხელი ირიბად შეუწყოს. ამ ფაკულტეტებზე ბოლო წლებში მოთხოვნა არ იყო მაღალი, არადა ძალიან მნიშვნელოვანია აგრარულ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე სპეციალისტების მომზადება“.**

ქალაქმგეგმარებელ ზურაბ ბაქრაძის თქმით, სახელმწიფოს გარდა, მედიასაც დიდი როლი აკისრია იმაში, რომ საინჟინრო დისციპლინები არ გაქრეს. „თუ ინჟინერია გაქრა, ამას ფატალური შედეგი ექნება. ამ მხრივ უკვე ვხედავთ ძალიან მძიმე მდგომარეობას.

თუ ეს ტენდენცია არ შეჩერდა, საშინელი ვითარება შეიქმნება. ეს რომ არ მოხდეს, განათლების სისტემაში რეფორმა იქნება საჭირო. ასევე მედიის როლიც დიდია, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას ამ სპეციალობების შესახებ. ახალგაზრდები ამ დისციპლინებით დოკუმენტური ფილმებისა და სხვა საშუალებებით უნდა დააინტერესონ“, – აღნიშნა ზურაბ ბაქრაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს ზაქრო წიკლაურს იმედი აქვს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს პერსპექტივა ექნება. სკოლაში ტექნიკურ საგნებს კარგად ვსწავლობდი და ეროვნულებზეც ქიმია ჩავაბარე, თან როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა ფაკულტეტზე, გეოლოგიით ძალიან დავინტერესდი. დღევანდელმა რეალობამ ფაქტის წინაშე დაგვაყენა ჩვენი ქვეყანა, რომ აუცილებლად უნდა განვითარდეს ეს მეცნიერება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რათა ნაკლები სტიქიები და ზარალი იყოს“, – ამბობს ზაქრო წიკლაური.

წინა წლების მონაცემების მიხედვით, ეკონომიკისა და ბიზნეს-ადმინისტრაციის მიმართულებას აბიტურიენტთა 60 პროცენტი ირჩევდა. წლევანდელი ტენდენციაც დაახლოებით იგივეა. თუმცა, ექსპერტების თქმით, თუ სახელმწიფო გააგრძელებს მუშაობას ამ თვალსაზრისით, დაინტერესება თანდათან საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების მიმართაც გაიზრდება, რაც ქვეყანას სამომავლოდ მსგავსი სპეციალობის ადამიანების დეფიციტს თავიდან აარიდებს.

თამთა ჯიჯავაძე

◎ ამერ-იმერი

კურდღელაურელები უწყლობას აღარ დაიჩივლებენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად თელავის მუნიციპალიტეტსა და სოფელ კურდღელაურში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მიმდინარეობს. პროექტის საერთო ღირებულება 7,052,133 ლარია.

სოფელ კურდღელაურს, სადაც 1500 ოჯახი ცხოვრობს, წყალი, პრაქტიკულად, არ მიეწოდება. სოფელში წყალი კვირაში ერთხელ, მხოლოდ ერთი საათით მოდის და ისიც, არსებული ქსელის დაზიანების გამო სასმელად არ გამოიყენება. წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემებია თელავის მუნიციპალიტეტშიც. მოსახლეობის ნაწილს წყალი 5-6-საათიანი, ნაწილს კი 8-10-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, თელავის მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდება წყლის მიწოდების გრაფიკი და სასმელი წყლის ხარისხი, ხოლო სოფელ კურდღელაურის მოსახლეობას წყლის მიწოდების პრობლემა საბოლოოდ მოუგვარდება. სოფელ კურდღელაურში რეაბილიტაცია უტარდება ამორტიზებულ ქსელს, რომლის საერთო სიგრძე 70 კმ-ია. შენდება 3 ახალი რეზერვუარი. გაკეთდება 2 ახალი ჭაბურღილი. აღნიშნული პროექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. პროექტს შპს „ტრესტ ნეფთგაზ ტიკინტი“ ახორციელებს.

უფასო სამედიცინო შემოწმება ზემო აჭარაში

14-16 აგვისტოს აჭარაში, ხულოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სამედიცინო ცენტრის ერთობლივი აქცია გაიმართება.

აქცია მოსახლეობის უფასო სამედიცინო შემოწმებას, დიაგნოსტიკასა და ერთჯერად სამედიცინო დახმარებას ითვალისწინებს.

მათივე ინფორმაციით, აქციაში 14 სხვადასხვა პროფილის ექიმი მონაწილეობს. აქციაში სხალთის ეპარქიის სასულიერო პირები, დასავლეთ საქართველოს მუფტი ბეგლარ ქამაშიძე, აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ნოდარ ახალკაცის სახელობის სპორტული მოედანი

ნაძალადევში ყველაზე დიდ სპორტულ მოედანს ნოდარ ახალკაცის სახელი მიენიჭა. ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ ნოდარ ახალკაცის სახელობის განახლებული სპორტული მოედანი გახსნეს.

ღონისძიებას ნოდარ ახალკაცის ოჯახის წევრები და ვეტერანი ფეხბურთელები დაესწრნენ. ღრმაღელეს დასახლებაში, მე-18, მე-19 კორპუსების მიმდებარედ არსებული კომბინირებული მოედნის რეაბილიტაცია ნაძალადევის რაიონის გამგეობის დაკვეთით განხორციელდა. სამუშაოების შესასრულებლად რაიონის ბიუჯეტიდან 101 612 ლარი გამოიყო.

„ბატონი ნოდარი ნაძალადეველი იყო, ამიტომ ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ ნაძალადევში ყველაზე დიდი სპორტული მოედანი დღეიდან საუკეთესო ქართველი მწვრთნელის სახელს ატარებს. ამ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, მათ უკვე შეუძლიათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სტადიონზე ითამაშონ,“ – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ.

მოედნის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 1062 კვ/მ-ზე მოეწყო ახალი, ხელოვნური, მწვანე საფარი, განახლდა კარი და კალათბურთის ფარები; ძველი ლითონის კონსტრუქცია შეიცვალა თანამედროვე კონსტრუქციით; ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტრიბუნას და ამორტიზებული სკამები ახლით შეიცვალა.

კიდევ ერთი ნაბიჯი ტურიზმის განვითარებისათვის

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და გორის მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების სააგენტოს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა.

გორს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომლის სრულყოფილად წარმოსაჩენად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა და საპატრიარქომ შეთანხმებულად უნდა იმუშაონ.

შეხვედრაზე განიხილეს საინვესტიციო გარემო და იდეები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებას. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სტალინის მუზეუმის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემა, ეთნოგრაფიული მუზეუმის პოპულარიზაცია, გორისციხეზე არქეოლოგიური გათხრების დაწყება და ტურისტებისთვის თეატრალური შოუს ორგანიზება, ატენის საზაფხულო ბანაკების რეაბილიტაცია და პოპულარიზაცია, პილიგრიმული ტურების განხორციელება, სამეფო ქუჩისა და ძველი ხიდის რეაბილიტაცია, – ეს იმ იდეების არასრული ჩამონათვალია, რომელთა განხორციელებით ქალაქი შეძლებს მეტი რაოდენობის ტურისტის მოზიდვას.

საქართველოს სკაუტური ბანაკი „გალაქტიკა 2015“ გაიხსნა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურში საქართველოს სკაუტური ბანაკი „გალაქტიკა 2015“ გაიხსნა. ბანაკში სხვადასხვა ასაკის 400 ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში დარჩება.

ისინი ბოშურში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ, ბანაკში არიან ბავშვები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან.

ბანაკის გახსნას გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი, გამგეობის თანამშრომლები და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციასა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება.

ინტერპრესი

◎ გვეხმაურებიან

სამშობლოში დააბრუნეთ ასლან აბაშიძე!

ვეხმაურები იმ ქართველ „შესანიშნავ შვიდეულს“, პლუს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (17 ივლისი, №132) თხოვნა-წინადადებას, რომელიც ეხება ბატონ ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის სამშობლოში დაბრუნების პრობლემას.

არადა, ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ (რასაც შეიძლება რბილად ვამბობ), ამ ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე გვარიანად შევთხელებულვართ... ქართველები!

მართალია, ზემოხსენებულ მიმართვაზე ხელმომწერ გამოჩენილ მამულიშვილისგან განსხვავებით ა. აბაშიძესთან პირადი ნაცნობობა არ მაკავშირებს, მაგრამ ახლო წარსულში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერზე და მის მშობლიურ ქალაქ ბათუმზე ხომ ბევრი კარგი რამ გვსმენია და წაგვიკითხავს. ჰოდა, ცოტა რამ მოსაგონარი ამ სტრიქონების ავტორსაც გააჩნია... ამიტომ ვთვლი, რომ ეს მაძლევს უფლებას, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, ჩემი ერთი ხმაც შევუერთო მისაბაძ, ჭკუის საკითხავ მამულიშვილებს.

ამაში გასაკვირიც ნამდვილად არაფერია. რამეთუ ის ხომ იმ დიდი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის ჯიშ-ჯილაგისაა, რომელმაც საქართველოს უგვირგვინო მეფის წმინდა ილია მართლის სადღეგრძელო ფეხით დაჭყლეტილი ყურძნიდან დაყენებული ღვინით არ შესვა და სპეტაკი სულის და გულის წმინდა მემედმა სუფთა წყლით შევსებული სასმისით დალოცა...

პირველი და უმთავრესი მაინც ისაა, რასაც თავად მოწოდების ტექსტში ვკითხულობთ: „ასლან აბაშიძის დროს აჭარაში ერთი გოჯი მიწა არ გაყიდულა და გადამთიელი ნაკლებად თუ დასახლდებოდა ამ მხარეში. დღეს კი, როგორც ცნობილია, წინა ხელისუფლების პერიოდში აჭარაში დასახლდა და ჩაეწერა 40 000-ზე მეტი უცხოელი. არსებობს მთელი რიგი უბნები, სადაც ქართულ ლაპარაკს ვერ გაიგონებ“ (უცხოელებში, ალბათ, ჩვენ „მეგორავე“ მეზობლები უნდა ვიგულისხმოთ და არა, რა თქმა უნდა, უცხო პლანეტელები...).

გავიხსენოთ 1909 წლის დეკემბრის გაზეთ „დროების“ სადღეისოდაც საჭირბოროტო მითქმა-მოთქმა. „დღე არ გავა, ათასობით დესეტინა მიწა არ გაიყიდოს. დღე არ გავა ისე, რომ გაყიდვის პირობა არ იწერებოდეს, და როგორ გგონიათ, რამდენი დღეა საჭირო, რომ ქართველი ერის „თავისუფალი“ მიწები სრულიად გაიყიდოს? მგონი, რომ ორი კვირაა საკმარისი და ასეც მოხდა კახეთში“...

და კიდევ: „ხელიდან წავიდა და მიდის ალაზნის ხეობა, ივრის ხეობა, მთელი ბორჩალოს მაზრა, გორის მაზრის საუკეთესო ნაწილები, „ტირიფონა“, დუშეთის მაზრის საუკეთესო ნაწილები, შავი ზღვის ნაპირებზე სათქმელიც აღარაფერი გვაქვს. ასეთია საქმის ვითარება დღეს და ამ დროს რას შვრება დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული საადგილმამულო კომისია, რომლის დამაარსებლებმაც ყურები გამოგვიჭედეს, ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო?..“ გულისტკივილს გამოთქვამდა მაშინდელი გაზეთი „იმერეთი“.

ღმერთმა გაანათლოს ი. სტალინის სული, თორემ ვინ იყო გაყიდული საქართველოს ადგილ-მამულის უკან დამბრუნებელი თუ გამომსყიდველი?..

როგორც ამ დღეებში პრესიდან გახდა ცნობილი, ბატონ ასლან აბაშიძის ცხოვრებაში ყოფილა პერიოდი, როდესაც ის ყველაფრის მიტოვებას და იტალიაში შვილიშვილებთან გამგზავრებას აპირებდა და იმიტომ გადაუფიქრებია, რომ უკან მობრუნების შემდეგ გაუყიდავი არაფერი დაგხვდებაო, უთქვამს ჭკვიან თანამოძმეებს.

განსხვავებით უფროსი აბაშიძისგან, მქონდა პატივი მესაუბრა ქ. ბათუმის აწ უკვე ყოფილ მერთან, ბატონ გიორგი აბაშიძესთან. აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, ამ მოკლე საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჯიშსა და გენს გადაშენება არ უწერია... გიორგი მამის ალიკვალი პატრიოტია, მთელი საქართველოს პატრიოტი..

როგორც ერთი რიგითი ქართველი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გულწრფელად ვუერთდები იმ ცნობილ ქართველ მამულიშვილთა სამართლიან მოთხოვნას და ბატონი ასლანის ოჯახის სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნებას მტკიცედ ვუჭერ მხარს!

ისიდორე ჯანელიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.
სამტრედია.

◎ რა ენა წარხდეს!..

არასწორად ნათქვამს გასწორება სჭირდება!..

სალიტერატურო ენას ნორმა უნდა ჰქონდეს... სალიტერატურო ენას ნორმა რომ არ ჰქონოდა, იგი ერთიანობას დაკარგავდა და თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა.

ივ. გიგინეიშვილი

2005 **წლის** 3 ივნისს, როცა საქართველოს პარლამენტის სესიაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა საკითხს იხილავდნენ, მომხსენებელმა მათი წარდგენისას რამდენჯერმე ახსენა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეტყობა, მაძიებელთ კარგა ხნის წინათ დაუმთავრებიათ ეს უმაღლესი სასწავლებელი, თორემ შესაძლოა ენაში შექმნილი ამჟამინდელი ვითარების გამო სხვაგვარად ჩაეწერათ თავიანთ ბიოგრაფიულ ცნობებში: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ტყუილად როდი დავიმოწმეთ ამჟამინდელი ვითარება. იგი შემაშფოთებელი თუ არა, დამაფიქრებელი მაინც არის. საქმე ისაა, რომ ახლა, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ვისაც როგორ მოესურვება, ისე ხმარობს ვისიმე სახელობის აღმნიშვნელ მსაზღვრელებს. და არამარტო მათ. ხშირად თვისებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელი მსაზღვრელებიც კი ერევათ ხოლმე ერთმანეთში. ამის თვალში საცემი მაგალითია თუნდაც ასეთი სახელწოდება: „ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის მოსკოვის(?!) სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის წარმომადგენლობა“. ეს იგივეა, რომ თქვა, მაგალითად, სინთეზურ ნაკეთობათა თბილისის ფაბრიკა, ანდა სპორტის თბილისის სასახლე, ან კიდევ ბოტანიკის თბილისის ინსტიტუტი.

როგორ ავიცილოთ თავიდან ეს გაუგებრობა?

ამ კითხვას ჯერ კიდევ 1985 წელს გასცა ამომწურავი პასუხი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ თავის №1-2 ბიულეტენში „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“.

მის გადაწყვეტილებაში (გვ. 40-41), კერძოდ, ნათქვამია, რომ რამდენიმე არაერთგვაროვანი მსაზღვრელის შემცველ დაწესებულება-ორგანიზაციათა სახელწოდებებში პირველ ადგილზე უნდა იყოს მართული (ნათესაობითში დასმული) **გეოგრაფიული** სახელი, შემდეგ — რიგის, თვისების ან დანიშნულების გამომხატველი მსაზღვრელები. თუ სახელწოდებებში ერთდროულად რამდენიმე ამგვარი მსაზღვრელია, ჯერ დაიწეროს **რიგის** აღმნიშვნელი მსაზღვრელი, შემდეგ — **დანიშნულებისა,** ბოლოს კი — **თვისების** აღმნიშვნელი მსაზღვრელი: თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი, რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი...



...გამოჩენილი პირის სახელობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი დაისვას **უშუალოდ გეოგრაფიული სახელის შემდეგ:** თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური სახელმწიფო საბავშვო თეატრი და სხვ.

ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ვიცავდეთ ნორმას, რომელიც ჯერ არავის **არ გაუუქმებია.**

ასეთსავე მაგალითს გვიჩვენებს ჯერ კიდევ 1987 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების... საწარმოებისა და დაწესებულებების დასახელებათა ცნობარი, რომლის შემდგენლებმა ვისიმე სახელობის გამომხატველი მსაზღვრელების შემცველი სახელწოდებანი გამართეს ზემოთ დასახელებული მუდმივი კომისიის ნორმებად ქცეულ დებულებათა გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, ნორმების სრული დაცვით არის შედგენილი, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ის აქტები, რომელთა ძალითაც იმ დროს დაფუძნებულ თუ გარდაქმნილ უმაღლეს სასწავლებლებს ეწოდათ: „თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და ლიტერატურის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ა. შ.

ამასთან, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ნორმა, რომლის მიხედვით საუწყებო დაქვემდებარების დაწესებულებების სახელწოდებაში პირველ ადგილზე უნდა დაისვას მეთაური (და არა სათაო ან სათავო) ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, მაგალითად: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველო, სს „ტყიბულნახშირის“ ე. მინდელის სახელობის შახტი და სხვ.

ამას შეიძლება დავუმატოთ კულტურულ-სპორტულ და სხვა სანახაობით ღონისძიებათა სახელწოდებანი, სადაც პირველი ადგილი ასევე უნდა ეკავოს გეოგრაფიულ სახელს: თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის პიანისტთა პირველი (მეორე...) საერთაშორისო კონკურსი, საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა პირველობა, თბილისის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი. ასევე იქნება: მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს, თბილისის ჩემპიონი, კალათბურთელ ვაჟთა, მოჭადრაკე ქალთა... ჩემპიონატი, პირველობა, ასპარეზობა და ა. შ.

ახლა გავცეთ პასუხი თავში დასმულ კითხვას: „უნდა ვიცავდეთ თუ არა ნორმას?“

თქმა არ უნდა! მაგრამ არ ვიცავთ. რომ ვიცავდეთ, არ გვექნებოდა ისეთი არასწორად შედგენილი დასახელებანი, როგორიცაა, მაგალითად: საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია, ლ. ყანჩელის სახელობის საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჟიული შარტავას სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი და სხვ.

დასკვნა: არასწორად ნათქვამს გასწორება სჭირდება.

რაკი გეოგრაფია ვახსენე, ურიგო არ იქნება, კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხს შევეხოთ. საქმე ის არის, რომ ხშირად შეცდომა მოგვდის ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი ტერმინების ხმარებაში: „სამხრეთ პოლონეთი ვენეციად იქცა“, „დასავლეთ ევროპა დახმარებას გვიწევს“ და ა. შ.

ეს ტერმინები — ჩრდილოეთი, დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და მათი შეწყვილებით ან გასამებით წარმოქმნილი გამოთქმები — მეტწილად მსაზღვრელის როლს ასრულებენ და საზღვრულის ბრუნვებს ექვემდებარებიან. ამიტომ სწორი არ არის, როცა სახელობითში დასმულ მსაზღვრელს **ი** ბრუნვის ნიშანს ვაცილებთ. უნდა ვწერდეთ და ვამბობდეთ: აღმოსავლეთი კავკასიონი, დასავლეთი საქართველო (სახელობითი), აღმოსავლეთმა საქართველომ (მოთხრობითი), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას (მიცემითი), დასავლეთ ციმბირის (ნათესაობითი), სამხრეთ ამერიკად (ვითარებითი) და ა.შ.

ოთარ კაპანაძე

◎ კალათბურთი

ნაკრებში საბრძოლო განწყობილებაა

თბილისის სპორტის სასახლეში ევრო 2015-ისათვის მზადების მიზნით მოვარჯიშე საქართველოს ვაჟ კალთბურთელთა ნაკრებმა მასმედიისათვის ღია ვარჯიში ჩაატარა.

შეკრებაზე გამოძახებულმა ნაკრების წევრობის 18-მა კანდიდატმა ევრო 2015-ისათვის მზადება მიმდინარე წლის 13 ივლისს ტრადიციულად თბილისში დაიწყო, 24 ივლისიდან კი სლოვენიაში გადაინაცვლა და შეკრება დაბა პოდჩეტრტეკში გააგრძელა. სლოვენიაში ყოფნის დროს ნაკრებმა ბოსნია ჰერცეგოვინასთან 2 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც ერთი მოიგო და ამდენივე წააგო. საქართველოს ნაკრებს უფრო სერიოზული გამოცდა თბილისში მერიის თასზე ელის, რომელსაც 14-16 აგვისტოს დედაქალაქის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. აღნიშნულ ტურნირზე „ჯვაროსნებთან“ ერთად ევრო 2015-ის მონაწილე იტალიის, ლატვიისა და ესტონეთის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ.



ვიქტორ სანიკიძე (ფორვარდი).

ვიქტორმა ცოტა ხნის წინათ თურქეთის უმაღლესი ლიგის მონაწილე ერთ-ერთ საშუალო დონის გუნდ ანკარის „ტედკოლეჯთან“ გააფორმა კონტრაქტი.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ თქვენ ევროლიგის მონაწილე რამდენიმე გუნდში გაქვთ ნათამაშები, როგორც სპეციალისტებისთვის, ისე გულშემატკივრებისთვის ცოტა მოულოდნელი იყო თქვენი იმ დონის გუნდში გადასვლა, როგორიც „ტედკოლეჯია“...

— მართალია „ტედკოლეჯი“ ევროპულ ტურნირებში არ მონაწილეობს, მაგრამ კონტინენტის ერთ-ერთ საუკეთესო თურქეთის ლიგაში თამაშობს. თურქებმა ნორმალური ფინანსური პირობები შემომთავაზეს, თუმცა, მთავარი ეს არაა. რაც ყველაზე უფრო მაწყობდა, ძირითადში თამაში და ჩემთვის სასურველი სათამაშო დრო გარანტირებული მექნება. ნამდვილად არ მაწყობს ევროლიგის მონაწილე ისეთი გუნდის წევრი ვიყო, სადაც თამაში თითქმის არ მომიწევს . სამწუხაროდ, ამის მწარე გამოცდილება უკვე მაქვს და ამ თემაზე საუბარი არ მსურს.

— ევრო 2015-ზე მოასპარეზე იმ ჯგუფზე რას გვეტყვით, სადაც ჩვენი გუნდი ითამაშებს...

— პროგრამა-მინიმუმი ჯგუფიდან გასვლაა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— თბილისის მერიის თასზე წინა წლებისაგან განსხვავებით საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. როგორც წინა წლებში, ამჯერადაც შევძლებთ პირველი ადგილის დაკავებას?

—კარგი გუნდები ჰყავთ ლატვიასა და ესტონეთს, ძირითადი კონკურენტი კი იტალიაა, რომელიც ძლიერი შემადგენლობითაა ჩამოსული. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაქსიმალურად ვეცდებით, მერიის თასი ისევ თბილისში დარჩეს.

მანუჩარ მარკოიშვილი (მსროლელი).

მანუჩარმა გასულ წელს ევროპის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ ცსკასთან (რუსეთი) ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 2014-15 წლები სეზონის დასრულების შემდეგ გუნდისა და მოთამაშის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაუქმდა და მარკოიშვილი ამჯერად უკლუბოდაა დარჩენილი.

— რა გახდა თქვენი და ცსკას ვადაზე ადრე განშორების მიზეზი?

— კონტრაქტის გაწყვეტის ინიციატორი მე ვიყავი, რადგან ლეგიონერთა ლიმიტის გამო ჩემთვის მიუღებელი მცირე სათამაშო დრო მქონდა. ეს იყო ჩემსა და გუნდს შორის კონტრაქტის გაწყვეტის მიზეზი.

— როგორც პრესაში დაიწერა, ცსკასთან 2-მილიონიანი კონტრაქტი გაკავშირებდათ...

— არა, რას ამბობთ, ხსენებულ თანხასთან მიახლოებულიც კი არ ყოფილა. არ ვიცი, ეგ ციფრი საიდან მოიტანეს.

— სამწუხაროდ, თქვენ კოჭის ქრონიკული ტრავმა გაწუხებთ. ამ მხრივ ამჟამად როგორი მდგომარეობაა?

— ღვთის მადლით ყველაფერი კარგადაა.

— ახალი კლუბის შესახებ სიახლე ხომ არაფერია?

— დიდი შანსია, რომ თურქეთში ვითამაშო. რადგან მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა, კონკრეტული გუნდის დასახელებისაგან, სადაც თამაშს ვაპირებ, ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

— ევრო 2015-ზე ჩვენი გუნდის შანსებზე რას გვეტყვით?

— ძლიერი ჯგუფია, მაგრამ შეგვიძლია მომდევნო ეტაპზე გასვლა და ამისათვის თავს არ დავზოგავთ.

გიორგი შერმადინი (ცენტრალური თავდამსხმელი).

სანიკიძისა არ იყოს, სიძლიერით ვერც შერმადინის ახალი გუნდი დაიკვეხნის, რომელიც ევროპის ჯუჯა ქვეყნის „ანდორას“ სახელს ატარებს და ესპანეთის პრიმერადივიზიონში თამაშობს.

— დამოუკიდებელი საქართველოს სახელით თქვენ ერთადერთი კალათბურთელი ხართ, რომელსაც ევროლიგა აქვს მოგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, რატომ გადაწყვიტეთ ისეთ უცნობ გუნდში თამაში, როგორიც „ანდორაა“?

—მომწონს ესპანური კალათბურთი და ამ ქვეყნის ჩემპიონატი. „ანდორას“ ხელმძღვანელობამ ნორმალური პირობები შემომთავაზა და, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბევრი არ მიფიქრია. რადგან ესპანეთში თამაში მომიწევს,გუნდთან კონტრაქტის გაფორმებაზე დავთანხმდი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

„ოქროს“ ფინიში

ოთხი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“ — ასეთი საგულისხმო შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ზაზა სილაგაძის გაწვრთნილმა ქართველმა „კლასიკოსებმა“ ბრაზილიის ქალაქ სალვადორ დე ბაიაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში. როგორც გაუწყეთ, ასპარეზობის პირველ დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გელა ბოლქვაძე (74 კგ) და ნიკოლოზ კახელაშვილი (96 კგ) ავიდნენ, ნუგზარ წურწუმია (50 კგ) კი ფინალში მარცხით მეორე ადგილს დასჯერდა.

რამაზ ზოიძე

ჩემპიონატის დასკვნით დღეს საქართველოს დელეგაციის ყულაბას კიდევ ორი ოქროს მედალი შეემატა. თავი რამაზ ზოიძემ (66) და ზვიად პატარიძემ (120) გამოიჩინეს. ზოიძემ, ნახევარფინალის გარდა, ყველა შეხვედრა იოლად მოიგო. სტარტზე ფინელ მატიას ლიპასტის (8:4) სძლია, შემდეგ თურქ არსლან ჩენგრიზსა (11:2) და უნგრელ ოტო ლოსონცს (8:0) მოუგო, ნახევარფინალში აზერბაიჯანელ რაჰიმ მირაილოვს (3:2) ქულით აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში რუსეთის ნაკრების წევრი ახმედ კაიცუკოვი დაჯაბნა (11:2) და ოქროს მედალი მოიპოვა.

ზვიად პატარიძე

მძიმეწონოსანი პატარიძე ევროპის წლევანდელი ჩემპიონია და სპეციალისტები მისგან ბრაზილიაშიც ელოდნენ წარმატებას. ქართველმა ფალავანმა მართლაც არ გააწბილა ქომაგები და პირადი კოლექცია უმაღლესი სინჯის ჯილდოთი გაიმდიდრა: მსოფლიოს პირველობის სტარტზე თურქი ილდირიმ ოსმანი ჩამოიშორა გზიდან (12:4), მერე ბელარუს პაველ რუდაკოუსა (8:0) და ყაზახ ტალგატ ჟიენტაიევს (10:0) ქულაც არ დაუთმო, ნახევარფინალში ამერიკელი სემუელ სტოლიც (8:0) მშრალზე დატოვა, ხოლო ფინალში რუს სერგეი სემანოვს დაძაბულ ბრძოლაში 3:1 აჯობა.

შეჯიბრების ბოლო დღეს სალვადორ დე ბაიას ხალიჩაზე ევროპის 2015 წლის ჩემპიონმა ირაკლი შავაძემ (55 კგ) და გიორგი მელიამაც (84 კგ) იასპარეზეს, მაგრამ კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ. შავაძემ პაექრობა მერვედფინალში უზბეკ ისლომჟონ ბახრამოვთან წაგებით (1:9) დაასრულა, მელიამ კი ნახევარფინალს უწია, თუმცა, იქ აზერბაიჯანელ ისლამ აბასოვს ვერ გასცდა (6:15), მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში შვედ ზაკარიას ბერგს დანებდა (4:13) და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა.

15-16 აგვისტოს ბრაზილიური სარბიელი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობა.

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

კაკა-კაროლინის დაუმთავრებელი საგა

ბრაზილიელები კი არა, მგონი ჩვენც კი დაგვღალა რიკარდო იზეკსონ კაკასა და მისი მეუღლის კაროლინ სელიკოს გაყრა-შერიგების დაუსრულებელმა ამბებმა. ლამის კვირაში ერთხელ მაინც ვრცელდება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კაკამ და კაროლინმა კიდევ ერთხელ წაიჩხუბეს, თუმცა, ამას მალევე მოსდევს ხოლმე მათი შერიგების ამსახველი ნიუსი.

სულ ცინცხალი ამბავი კი ისაა, რომ მორიგი (კაცმა არ იცის მერამდენე) შერიგების შემდეგ ბრაზილიელი ფეხბურთელის ოჯახში ისევ დიდი დავიდარაბა ატყდა და ავბოროტი ხმები საერთოდ იმასაც კი ირწმუნებიან, რომ კაკამ ვითარცა ვარსქენ პიტიახშმან, აიღო რაღაც ასტამისმაგვარი საგანი და ცოლს „ერთი თვალი დაუბუშტა“.

ამ დიდი უბედურებებისა და მუდმივი გაწევ-გამოწევის უმთავრესი მიზეზი რეალურად ძალიან ბანალურია. საქმე კაკას მიერ წვითა და ოფლისღვრით დაგროვილი ქონების გაყოფას ეხება და იქ, სადაც ფულის ნაზი სურნელი იგრძნობა, ხშირად მრავალწლიანი ცოლ-ქმრობაც კი ბითურობაა და მეტი არაფერი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნები“ მზადებას განაგრძობენ

„ბორჯღალოსნები“ მსოფლიო თასისთვის მზადების მეორე ფაზის დასკვნით ნაწილს 5 აგვისტოდან პოლონეთში, „ცეტნიევოს“ ოლიმპიურ ბაზაზე გადიან, სადაც წრთობის კურსი კრიოთერაპიის თანხლებით მიმდინარეობს.

ბიჭებს ვარჯიშის შემდეგ 2-3-წუთიანი პროცედურა უტარდებათ სპეციალურ კრიო-კამერებში, სადაც ტემპერატურა მინუს 120 გრადუსია და ამით ძალთა აღდგენა ჩქარდება.

ჩვენი გუნდი პოლონურ შეკრებას ხვალ დაასრულებს და შინ დაბრუნების შემდეგ ერთ კვირას დაისვენებს. ნაკრები ბრიტანეთში 24 აგვისტოს გაემგზავრება. იქ გუნდი უკვე მზადების მესამე ფაზას შეუდგება, რომლის განმავლობაში „ბორჯღალოსნები“ მთლიანად რაგბიზე ორიენტირებულ ვარჯიშებზე გადავლენ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასამდე ქართველი მორაგბეები ინგლისში სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ: 28 აგვისტოს ინგლისური „ავივა პრემიერშიპის“ კლუბ „ნიუკასლ ფალკონზის“, 2 სექტემბერს კანადის და 5 სექტემბერს იაპონიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ.

მსოფლიო თასზე პირველ შეხვედრას საქართველოს ნაკრები 19 სექტემბერს გლოსთერში, „ქინგჰოლმ სთედიუმზე“ ტონგას წინააღმდეგ ჩვენი დროით 15 საათზე ჩაატარებს.

გიორგი ჭოთაძე

◎ ამის ცოდნა აუცილებელია!

„ვაჟკაცსა გული რკინისა“, მაგრამ... სიფრთხილეს თავი არ სტკივა

10 აუცილებელი წესი, რომლის ცოდნა ომში სიკვდილისგან გიხსნით

როგორც ამბობენ, სულელი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ჭკვიანი კი სხვისაზე; მოდით, ვიყოთ ჭკვიანები და ერთად გავეცნოთ იმ საბედისწერო შეცდომებს, რომელსაც სამოქალაქო პირები ომის დროს უშვებენ. ღმერთმა გვაცილოს, მაგრამ ამის ცოდნა აუცილებელიცაა.

1 – არ ჩაიცვათ სამხედრო ტანსაცმელი

თვითნებურად ნუ გადაწყვეტთ კამუფლაჟით შემოსვას და ნუ იფიქრებთ, რომ ეს მომწვანო სამოსი თქვენ უჩინარს გაგხდით; პირიქით, –გახსოვდეთ, რომ საომარი სიტუაციებისას თავდასხმის ძირითადი ობიექტები სწორედაც რომ სამხედრო პირები არიან...

2 – არ ჩაიცვათ ძვირფასი სამოსი

თუ საომარი სიტუაციაა და თავის გადასარჩენად ქუჩაში გასვლა მოგიწევთ, ნუ დახარბდებით ძვირფას სამოსს, რომელიც გარდერობში გიდევთ... ვინაიდან საომარი ქმედებებისას მოროდიორობა გახშირებულია, ისინი თავს სწორედ მათ ესხმიან, ვინც მდიდრულად გამოიყურება.

3 – არ შეაფარეთ თავი მაღალ შენობებს

საომარი ქმედებებისას ყველაზე დიდი სისულელე, რაც შეიძლება გააკეთოთ, ტყვიებისგან დასამალად მაღალი შენობების გამოყენებაა. გახსოვდეთ, რომ მტრის სამიზნე, პირველ რიგში, ასეთი შენობები ხდება. განსაკუთრებით თავი აარიდეთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, როგორიცაა მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, ვინაიდან ისინი მტრისთვის თავდასხმისათვის ყველაზე „გემრიელი ლუკმაა“... განსაკუთრებით კი თავი შორს ბენზინგასამართ სადგურებისგან უნდა დაიჭიროთ.

4 – არ აიკიდოთ ბევრი ბარგი

ომში ბარგი ყველაზე დიდი დისკომფორტია. შეეცადეთ, მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნივთები იქონიოთ თან, მეტწილად პირველადი სამედიცინო საჭიროებისთვის... გაითვალისწინეთ, რომ ერთ ადამიანზე ბარგის წონა 10 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. ბევრი ბარგით კი თქვენ მოროდიორების სამიზნე გახდებით, გარდა ამისა გაგიჭირდებათ გადაადგილება, დამალვა და ამასთან ბარგით მეტ ყურადღებას მიიქცევთ.

5 – არ გახვიდეთ სახლიდან დოკუმენტების გარეშე

ნუ იფიქრებთ, რომ პასპორტის თან ქონა პრობლემებს შეგიქმნით; პირიქით. მეტიც, სასურველია, რომ პასპორტში რომელიმე გვერდზე თქვენი სისხლის ჯგუფიც მიაწეროთ, რადგან თქვენ არ ხართ დაზღვეული დაჭრისგან და სხვა მსგავსი დაზიანებებისგან. ამით კი თქვენ დახმარებისთვის გზას გაიმარტივებთ.

6 – არ წახვიდეთ სამხედროების ბრძანების წინააღმდეგ

აუცილებლად დაემორჩილეთ სამხედრო პირებს. მაშინაც კი, თუ ისინი მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენენ. ასე უნდა მოიქცეთ ერთი მარტივი მიზეზის გამო – ისინი შეიარაღებულები არიან. გვერწმუნეთ, მათგან გაქცევით ნაკლები შანსს იტოვებთ გადარჩენისთვის, ვიდრე მათი ბრძანების შეუსრულებლობით.

7 – არ გადაადგილდეთ საზღვარზე ჯიპით, მიკროავტობუსით ან სატვირთოთი

უპირველესად, ომის წესების მიხედვით, ყველა ზემოთ ხსენებულ ავტომობილს ჩამოგართმევენ. და თუ მაინც აღმოჩნდებით სასაზღვრო ხაზთან, მოაშორეთ თქვენს მანქანას ნებისმიერი ტიპის სტიკერი, ვინაიდან შესაძლოა, მოწინააღმდეგემ ეს არასწორად გაიგოს და მიიჩნიოს, რომ თქვენ ხართ რომელიმე დაჯგუფების, პარტიის, ან მიწისქვეშა ორგანიზაციის წევრი.

8 – არ მართოთ მანქანა ღამით

ბევრი ფიქრობს, რომ საომარ სიტუაციებში ღამით სიარული რისკებს ამსუბუქებს. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით არის, რაგან შესაძლოა, სიბნელეში არა მხოლოდ მოწინააღმდეგის, არამედ თქვენივე მომხრეების ბრმა ტყვიას ემსხვერპლოთ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ომში ნებისმიერ საეჭვო ხმაურის საპასუხოდ ისვრიან...

9 – ნუ იძნებით მარტო

არ მოერიდოთ უცხო ხალხთან კონტაქტს. შეეცადეთ, გაიჩინოთ თანამგზავრები და რაც მთავარია, მათ უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია თქვენი სისხლის ჯგუფის შესახებ.

10 – არ უგულებელყოთ ენის ცოდნა

ომში დაივიწყეთ კომპლექსები, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ენას ეხება. შესაძლოა, კარგად ვერ ფლობდეთ მოწინააღმდეგის მშობლიურ ენას, მაგრამ ნუ დამუნჯდებით. თუ სრულიად უცხოა თქვენთვის მათი ენა, აუცილებლად ისწავლეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაზა მაინც.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს/ს „თბილხელსაწყო“ (ს/კოდი: 208143169) აცხადებს, რომ 2015 წლის 4 სექტემბერს 12 საათზე გაიმართება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გ. №24ა.

დღის წესრიგი:

1. ს/ს „თბილხელსაწყოს“ მიერ აქციონერ ზურაბ ტყემალაძის კუთვნილი ს/ს „თბილხელსაწყოს“ 65880 ცალი აქციის შესყიდვა.
2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებები მიიღონ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომლებიც წერილობით იქნება დაყენებული 2015 წლის 25 აგვისტომდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განხილული იქნება კრების მიერ, კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2015 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი ს/ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გ. №74ა.

საზოგადოების დირექტორატი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2015 წლის 5 ოქტომბერს, 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მდ. ლახამზე ჰესების კასკადის (ლახამი 1 ჰესი, დადგმული სიმძლავრით 6,4 მგვტ და ლახამი 2 ჰესი, დადგმული სიმძლავრით 9,5 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემის ტერიტორიაზე, მდ. ლახამზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - დ. მესტია, სეტის მოედანი №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **გიორგი აბრამიშვილი. ტელ: 599515940;** E-mail: Giorgi@agd.com.ge
- **გიორგი ბუალავა. ტელ: 595287560;** E-mail: goga@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ადმინისტრაცია

◎ ლეგენდარული კატანა

იარაღი მდიდრებისთვის

კატანა – იაპონური დიდი ხმალი, რომელსაც ძირითადად სამურაები ხმარობდნენ. რიგითი მოქალაქისთვის კატანა, სიძვირის გამო, ჩვეულებრივ მიუწვდომელი იყო. იგი ითვლება ცივი იარაღის წარმოების ხელოვნების პიკად, ის ადვილად ჭრის ნებისმიერ ევროპულ თუ აზიურ ხმლებს. კატანის დამზადება რთული ტექნოლოგური პროცესია. იგი იჭედება სხვადასხვა სიმტკიცის ფოლადის ნაჭრისგან, რაც იწვევს მის საოცარ ელასტიკურობას და ამავე დროს სიმტკიცეს.

კატანას შესახებ აღმოსავლეთში უამრავი ლეგენდა დადიოდა. ბევრი სიმართლესაც შეეფერება. მაშ ასე, საინტერესო ფაქტები აღმოსავლური იარაღების „მბრძანებელზე“...



● ფეოდალურ იაპონიაში იმისთვის, რომ შეეფასებინათ გაკეთებული კატანა, ცდები მსჯავრდებულებზე ტარდებოდა. ამას აკეთებდნენ იმისთვის, რომ ენახათ, როგორია სახმარად საველე პირობებში, როგორ ამტვრევს ადამიანის ძვლებსა და ხორცს.

● ოსტატ მონძიუს ხმალი (ტიკუძენის პროვინციიდან) ატარებდა სახელს „ჰიგეგირი“ (სიტყვასიტყვით – წვერის მჭრელი). ის იყო უბადლოდ ბასრი და როცა ოსტატი მსჯავრდებულს თავს კვეთდა, ხმალი წამითაც არ ჩერდებოდა და წვერსაც სწორად ჭრიდა.

● „წვერის მჭრელს“ ჰყავდა კიდევ ერთი თანამოძმე, ხმალი – „ჰიძამარუ“ (მუხლების მრძანებელი). სიკვდილმისჯილ მსჯავრდებულებს აყენებდნენ მუხლებზე და როცა ოსტატი კვეთდა თავს ინერციით ხმალი გადიოდა მუხლების დონეზეც და ჭრიდა მათაც.

● ოსტატ ნაგამიცუს ხმალს ერქვა „აზუკი“ (მარცვალი). იმისთვის, რომ ეჩვენებინა თავისი ხმლის სიმახვილე, ოსტატი იღებდა ჩვეულებრივ მარცვალს და მას კატანით ჭრიდა.

● 1662 წელს ოსტატმა იამანომ გადაკეპა ორი გვამი, რომლებიც ერთმანეთზე იდო. თუმცა, იაპონურ ქრონიკებში შენარჩუნებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თავიანთი ხმლების ფხიანობის საცდელად სამურაები ერთი დარტყმით ერთმანეთზე დადებულ ოთხ გვამსაც კი კეპდნენ.

● სამურაის ყველაზე ღირსეულ სიკვდილად ითვლებოდა ხმლით ხელში სიკვდილი. ეს ტრადიცია თითქმის გაქრა XX საუკუნეში, თუმცა, 1943 წელს, ომის დროს როდესაც იაპონელი ადმირალის ისიროკუ იამამოტოს თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ნახევრად დამწვარ ადმირალს ხელებში კატანა ეჭირა.

● კატანა გადადიოდა თაობიდან თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ხმლის იერსახე იცვლებოდა, მაგალითად ომში იყენებდნენ მოკრძალებულ ჩუქურთმიან ხმალს, ხოლო ქალთან შეხვედრისას პირიქით – ჩუქურთმებით შეკაზმულ კატანას.

● კატანის დამზადებას უნდებოდა რამდენიმე თვიდან რამდენიმე ათეულ წლამდე. ყოფილა შემთხვევა, რომ ცნობილი სამურაების ხმლების დამზადებას დასჭირდა 15-16 წელი.

◎ კრიმინალი

ფოთში 22 წლის მამაკაცი დაიხრჩო

ფოთში უბედური შემთხვევა მოხდა, ზღვაში 22 წლის მამაკაცი დაიხრჩო. შემთხვევა ოთხშაბათს საღამოს მოხდა. დაღუპულის ცხედარი ამ დრომდე ნაპოვნი არ არის.

22 წლის ახალგაზრდა ზღვაზე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა. დაღუპული ფოთის მკვიდრია.

ზღვაზე ძლიერი ღელვის გამო, სამძებრო სამუშაოები შეწყვეტილია და ამინდის გაუმჯობესებისთანავე განახლდება.

„სამტრედსკი“ მოსკოვში დააკავეს

მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი ქართველი სერგო ჩიხლაძე, მეტსახელად „სამტრედსკი“ დააკავეს. ამის შესახებ „გაზეტა.რუ“ რუსეთის კრიმინალური საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურზე დაყრდნობით იტყობინება. იგი კარეტნი რიადის ქუჩაზე აიყვანეს. პირადი ჩხრეკის დროს, 31 წლის ე.წ.კანონიერ ქურდს 2 გრამი გაურკვეველი წარმოშობის ნივთიერება აღმოუჩინეს. ექსპერტიზის დასკვნით, ნივთიერება ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი აღმოჩნდა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ ყიდვის, შენახვის, გადატანის, წარმოებისა და ფლობის შესახებ.

რუსული მედიის ინფორმაციით, სერგო „სამტრედსკი“ ტარიელ ონიანის კლანის წევრია, რომელიც „დედ ჰასანის“ მაფიური დაჯგუფების კონკურენტად მიიჩნეოდა.

◎ ლექსი – იერიშზე!

ზარებს შემოვკრათ განგაშის!..

იუზა ჩაკვეტაძე

ცაზე ღრუბლების აკვანში,
ვერ გავაღვიძე, იწვა მზე,
ქართველთა სისხლი გაგრაში
დღესაც ატყვია მიწაზე.

ფიქრით წარსულში ვიჭრები,
ზეცას ცრემლები
ღვარად სდის,
უწვერულვაშო ბიჭები,
ბიჭებად დარჩნენ მარადის...

ობობას ქსელში გავებით,
გულს რომ ადუნებს, შიშია,
ახვეული გვაქვს თვალები,
მომავლის იმედს გვიშლიან...

მწუხრის კოცონს
დარდი მინთებს,
დღის დათესილს ღამე იმკის,
თავს ვერ ვაღწევთ
ლაბირინთებს,
მძევლები ვართ ამერიკის.

წყენით მითხრა მამაჩემმა, –
რატომ ჰყიდის სულს თაობა,
საქართველო სხვას დარჩება,
გულს მტკენს თქვენი
უთავობა...

ერის სიმთელეს ვნატრობდი,
ბედი არა მაქვს ნატვრაში,
გაღმელი გახდა ბატონი
და გვაქექინებს ნაგავში.

თუ გული შიშით გახევდა,
ხდება სილაჩრის მძევალი,
დაბადებული სახედრად
ვეღარ გახდება მერანი...

მოიწყინეს მწვერვალებმა,
უძლურია ქართან ნეშო,
ქვეყნის დაცვა გვევალება,
ნუ ვხდით მტრების
სათარეშოდ...

ნისლი მოჰყვება ალიონს,
დღეს „ცისფრებსა“ აქვთ
ქორწილი,
შერცხვეს ვინც ყანწი დალიოს,
მათი თამადის მოწვდილი.

ნუ გვაქვს თავები დახრილი,
არ გავხდეთ ყმები სხვა
მოდგმის,
გზას ერთად იგნებს ნახირი,
ქართველებო, ჩვენ რა
მოგვდის !?...

შვილი მამულს უღალატებს,
თავს მოიკლავს გამზრდელი,
აისრულებს უმალ ნატვრებს,
გაიხარებს გაღმელი.

დამშრალი აქვს წყარო ხიზანს,
ვერ ვიქცევით საქებრად,
ერი თუ არ გამოფხიზლდა,
ნამქერივით გაქრება...

სხვა არ ირჯება საჩვენოდ,
შურს, რომ უყურებს
მწვანე ველს,
ერთობის ძალა ვაჩვენოთ,
ნუ გავახარებთ მწვალებლებს.

ვერ აცდუნებდათ სიმდიდრე,
გმირებს დიდგორის,
მარაბდის,
ოჯახის ფუძის სიწმინდეს
დაცვა სჭირდება მარადის.

ზარებს შემოვკრათ განგაშის,
იჩაგრებიან მართლები,
გმირთა საფლავებს გაგრაში
დავუნთოთ წმინდა სანთლები...

შორს დღის ნათელი
ციმციმებს,
მაცდურებს აღარ ვენდობით,
ერის რიცხობრივ სიმცირეს
ქართველები ვძლევთ
ერთობით.

P. S.
**ერს გადაარჩენს, მხოლოდ
ერთობა,
ვერ გაამხნევებ მონას იებით,
ღმერთს ცოდვიანი თუ
სთხოვ შენდობას,
შეგინდობს ლოცვით,
მონანიებით.**

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **თუ ნოდარ დუმბაძე განასახიერებდა საბჭოთა აზროვნებას, მეც საბჭოელი მინდა ვიყო!!!**

● **ეს ხომ მხოლოდ ფეხბურთი არ არის** ...Fox Sports 1-ზე ვუყურე „სუპერთასს“ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანია.

ამერიკელმა კომენტატორებმა არაერთხელ ილაპარაკეს სითბოთი და პატივისცემით ქართველებზე, საქართველოსა და თბილისზე, რომელსაც რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი უყურებდა ... აღტაცებულები იყვნენ „ბორის პაიჭაძის სახელობის ულამაზესი სტადიონით“, გაიხსენეს თბილისის დინამოს თამაშები „ვესტ ჰემთან“ და „ლივერპულთან“ .... მოკლედ, საქართველოს ნამდვილად შეუძლია ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრების მასპინძლობა და ორგანიზებაო ...

ათობით მილიონი დოლარი შეიძლება დახარჯულიყო სხვადასხვა რეკლამაზე და ასეთი შედეგი მაინც არ იქნებოდა ... ყოჩაღ ორგანიზატორებს და ყველას, ვინც ჩართული იყო საორგანიზაციო საქმეებში ...

● **ჩემს გოცირიძეს მე ვკითხე ერთხელ (ფხიზელი იყო, როგორც ყოველთვის):
– ბატონო რომან, თქვენ პირველი ხართ, დაგვისახელეთ
მეორე ექსპერტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი -
თვის ანალიზით ის იყო მთვრალი,
– საქართველოში??? - ჩაიქირქილა
ლომურ ულვაშზე
მოისვა ბრჭყალი...**

● **ნარმანია კარგი მაგრამ, ქუცნაშვილს ისევ ხელი არ ჩამოართვეს, დაიჩაგრა ბიჭი!!!**

● **ხარშილაძე ახალ შემოთავაზებებს სულმოუთქმელად ელის...**

● **აღმაშენებლის გზაზე დგომა „კაბელების საქმით“ რომ დაიწყო ხიდაშელმა, ოთხი მილიონ ს ჩემტა, დიდგორის ომში ჩამოწერა?**

● **ასეთი ბედნიერი დილა „მესიპოტამიელებს“ დიდი ხანია არ ღირსებიათ, საოცარი დუბლი ვიხილეთ, ბარსამ მოიგო და სიჭინავაც გადადგა!!!**

● **დავით მესიხელჩამორთმეული!!!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
293-37-87
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ᲢᲔᲚ:** 599 168 171; 598 51 81 35.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

ᲛᲘᲮᲝ ღრმა ორმოში ჩავარდა, მაგრამ რაღაც სასწაულით იქიდან ამოძრომა მოახერხა.

„სასწაულები არ ხდება!“ – იფიქრა ურწმუნო მიხომ და ისევ ორმოში ჩახტა.

* * *

– **ᲙᲘ** მაგრამ, ასეთი რამეები პირველსავე პაემანზე, ჩემო კარგო? აბა, მაშ, ერთი ნახვით სიყვარულიო?

– ერთი ნახვით სიყვარული, იცოცხლე, კარგია, მაგრამ, რა ვქნა, ცუდად ვხედავ და საქონელს ხელი თუ არ შევავლე...

* * *

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ტექნიკურ სასწავლებელში დიპლომების დაცვაა. კათედრის თანამშრომელი ადგილიდან რეპლიკას ისვრის:

– ვეჭვობ, თქვენმა სქემამ იმუშაოს.

– როგორ თუ არ იმუშავებს? ის უკვე სამი წელია მუშაობს!

– ჰმ...

დიპლომის დაცვის შემდეგ:

– მე მაინც მგონია, რომ თქვენი სქემა არ იმუშავებს.

– ის არც მუშაობს და ვერც ვერასოდეს ვერ იმუშავებს!

* * *

– **ᲛᲘᲮᲝ**, ძვირფასო, მოდი რა, საშინელებებს ვუყუროთ!

– კარგი, რახან აგრე გინდა, მოიბანე კოსმეტიკაი!

* * *

ᲕᲘᲓᲠᲔ ჭკვიანი ჩუმად არის და სულელიც ჩუმად არის – მათ ერთმანეთისგან ვერავინ გაარჩევს.

* * *

ᲗᲐᲕᲖᲔ დიდი წარმოდგენის მქონე ახალბედა ექიმი კახეთის სოფელში გაანაწილეს სამუშაოდ, მიდის ქუჩაში და გზად ადგილობრივი ასაკოვანი ვეტერინარი შემოხვდება:

– უკაცრავად, – თქვენა ბრძანდებით ვირების ექიმი? – იქედნურად ეკითხება ჩამოსული სპეციალისტი.

– ჰო, შვილო, მე ვარ, რა იყო, რა, ცუდადა ხარ?

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

ბაგირზემავალ-ექსტრემალთა ჯგუფის წევრმა, უნგრელმა ბენსე კერეკეშმა, ჩრდილოეთ ინდოეთის მთებში 5 332 მეტრის სიღრმის უფსკრულზე გაიარა. სპორტის ამ სახეობაში ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 599 56-81-86;
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ